საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 19 ივნისი, 2013 წელი.

№113 (7240)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჯოჯებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„იარაღის სამალავები ბაჩო და დათა ახალაიების ორგანიზებით შეიქმნა“ 3

ვინ რას მოიგებს ტერაქტების 6 თემის წამოწევით

სოფელს მინები სასაფლაოიანად გაუყიდეს 2

„აგულავებს“ უგულავა „იხერია“? 6

გია ყარყარაშვილი ამტკიცებს, რომ ოკუპანტებმა პასუხს ითხოვს! 4

სიყვარულის ლამაზი სხივით... სცენაზე 8

რა ემუქრება წიგნის ბაზარს? 4

დღის ანეკდოტი

თუ არ იცი ხატვა, გახდი ფოტოგრაფი, თუ არ გეხერხება მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა, გახდი დიჯეი, თუ არ იცი სიმღერა, გახდი რეპერი, თუ არ შეგიძლია წერა, გახდი ბლოგერი, ხოლო თუ საერთოდ არაფერი არ გეხერხება, გახდი პოლიტიკოსი.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ალიან-ჩალიანი

პრემიერ-მინისტრის უფლებები ვერ გაიზრდება, თუ სააკაშვილი ვადამდე გადადგება

— ამის შესახებ იურისტმა ლევან ალაფიშვილმა „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი განმარტებით, საკონსტიტუციო ცვლილებებში, რომელიც ძალაში შემოდგომაზე უნდა შევიდეს და რომლის მიხედვითაც, პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებები იზრდება, მითითებულია, რომ აღნიშნული ცვლილებები ძალაში შედის 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების დღიდან.

იურისტის განცხადებით, თუ მიხეილ სააკაშვილი თანამდებობიდან ვადაზე ადრე გადადგა, აღნიშნული ნორმა დარჩება ქაღალდზე და არ ამოქმედდება. მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა 1 აგვისტომდე უნდა გამოაცხადოს მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი, თუმცა 1 აგვისტომდე მას შეუძლია რომ გადადგეს.

ალაფიშვილის განმარტებით, მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შემთხვევაში, საზოგადოება მომდევნო პრეზიდენტს აირჩევს იმავე უფლებამოსილების მქონეს, როგორიც პრეზიდენტის ინსტიტუტი დღეს არის. ამასთან, მისივე თქმით, სააკაშვილის გადადგომის შემთხვევაში, კოალიციის შიგნით, შესაძლოა, ახალ საპრეზიდენტო კანდიდატზე მსჯელობა დაიწყოს, რადგან საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილს გაუჭირდება იყოს წარმატებული.

ალაფიშვილის განცხადებით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნება, რომ მოქალაქეობის საკითხის დარეგულირების შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრმა და კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატად საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს.

ამასთან, ლევან ალაფიშვილი ვარაუდობს, რომ მიხეილ სააკაშვილს გადადგომა ოპტიმალურ პირობებში ჩააყენებს, რადგან მისი ასაკიდან გამომდინარე, სამომავლოდ მას რჩება შანსი, რომ პოლიტიკაში დარჩეს.

სახელმწიფოს მიმართ მავნებლობა იქნება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი მოსალოდნელ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს. როგორც მინისტრმა განაცხადა, ეს ინფორმაცია არის თეორიული განხილვის საგანი. მისი თქმით, თუკი პრეზიდენტი ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავს, ეს იქნება კიდევ ერთი მავნებლობა ქართული სახელმწიფოს მიმართ.

ამასთან, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კომენტარი გააკეთა მიხეილ სააკაშვილის განცხადებაზე, რომელიც განათლების შესახებ კანონპროექტს უკავშირდება.

— კიდევ ერთხელ გამოვთქვამ გულისტკივილს, რომ პრეზიდენტს სხვა აქტივობის ფორმა უკვე აღარ დარჩა, გარდა იმისა, რომ ჩემს კანონპროექტებსა და ჩემს ინიციატივებს ვეტო დაადოს.

რით დაინტერესდა წულუკიანი სომხეთში?

— **საძართველო** უკანასკნელი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებლებს სისხლის სამართლის დამნაშავეებად განიხილავს და ჩვენ ამ მიდგომის შესაცვლელად ვმუშაობთ, — ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა სომხეთის გენერალურ პროკურორ ავჰან ჰოვსეპიანთან შეხვედრისას განაცხადა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ იუსტიციის სამინისტროდან აცნობეს, ერევანში ვიზიტით მყოფი თეა წულუკიანი დაინტერესდა, გაიზარდა თუ არა ნარკომომხმარებელთა რიცხვი მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ნარკომომხმარებლის (რომელიც, ამავე დროს, არ არის რეალიზატორი) ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულის კატეგორიიდან ამორიცხა.

გენერალური პროკურორის — ავჰან ოვსეპიანის თქმით კი, სომხეთში კანონმდებლობის ლიბერალიზაციას ნარკომომხმარებელთა მიმართ ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებით სიტუაცია არ გაუუარესებია.

— პირიქით, ისინი ამოვიდნენ სარდაფებიდან და დროთა განმავლობაში ინტერესიც დაიკარგა ნარკოტიკების მოხმარების მიმართ. ამჯერად, ოფიციალური სტატისტიკით, სომხეთში ნარკომომხმარებელთა რიცხვი საკმაოდ დაბალია.

მან გაიხსენა ის „რევოლუციური“ ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც, გამომძიებლებს დაავალა — ნარკომომხმარებელთა დაკავების ნაცვლად, ნარკოქსელის აღმოჩენასა და რეალიზატორების გამოვლენაზე ემუშავათ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადებით, მსგავს საკითხებში ყველა ქვეყანას თავისი გამოცდილება აქვს.

— ჩვენი მთავრობის სურვილია, დასრულდეს რომელიმე ერთი ქვეყნის გამოცდილების ბრმად კოპირება. ჩვენ გვსურს, ვიპოვოთ ის მოდელი, რომელიც დემოკრატიული და ჩვენთვის ყველაზე ორგანული იქნება, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

დღევანდელი პარლამენტი უფრო ევროპულია, ვიდრე ოდესმე

პარლამენტის თავმჯდომარე ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, ევროკავშირის ვაჭრობის კომისარს კარელ დე გუხტს შეხვდა. საუბარი შეეხო საქართველოში რეფორმების გაგრძელების საკითხს, საქართველოსთვის ვილნიუსის სამიტსა და ასოცირების ხელშეკრულების მნიშვნელობას.

ევროკომისარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარლამენტს ეკისრება მნიშვნელოვანი მისია სამომავლო დოკუმენტების გაფორმების დაჩქარებაში. კომისარმა ასევე ისაუბრა ახალი შრომის კოდექსის შესახებ, რომელიც დადებითად შეაფასა საერთაშორისო შრომის ორგანიზაციამ.

პარლამენტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ევროპის კომისარს მიღებისთვის.

— ახალი ხელისუფლების სურვილია, კიდევ ერთხელ დაადასტუროს ქვეყნის ევროპისაკენ სწრაფვა. დღევანდელი პარლამენტი უფრო ევროპულია, ვიდრე ოდესმე. მასში წარმოდგენილია ფართო პოლიტიკური სპექტრი. ვილნიუსის სამიტს ჩვენ ყველა დიდი იმედებით ველით. ქვეყანაში ხელისუფლების გადაცემის პროცესი მშვიდობიანად წარიმართა. საკანონმდებლო ორგანო აღმასრულებელ ხელისუფლებას გვერდში უდგას და, ამავდროულად, ასრულებს მის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას, აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ჩვენ შედეგი და დამნაშავეების დაჭერა გვინდა. ამოვიდა ყელში დამნაშავე ნაციონალების თარეში. მოსახლეობას შედეგი გვინდა და არა სანახაობა!

● შიმშილობის ყველაზე საშინელი ფორმაა მშრალი შიმშილობა, ხოლო უსაშინლესი — ტელევიზორმომთხოვნი შიმშილობა!

● გამომცემლობა „ნიმროდმა“ გამოსცა „საქართველოს ვეტოს დაძლევის ისტორიის“ პირველი ტომი. გრძელდება ხელმოწერა ათტომეულზე.

● მერაბიშვილი მიშას აშკარად დაუპირისპირდა. პრემია შიმშილობის დაძლევაში რატომ მიეცით, აგერ მე ვარ მშიერი და გაღლეტილიო.

● შევდივარ ნაციონალურ მოძრაობაში და ჩემს კანდიდატურას ვასახელებ პრეზიდენტობის კანდიდატად.

მეგობრებო, თქვენც შემოდით და პრაიმერში მხარი დამიჭირეთ.

გპირდებით გამარჯვების შემთხვევაში ყველაფერს, რასაც ყველა პარტია გპირდებოდათ და + 2 ბოთლი ლუდი.

● ახლა გამოვა ზალკალიანი და ვითომ ობამამ თეთრი სახლის სპიკერად დანიშნა, მოგვახსენებს, რომ 315 კონგრესმენის და თეთრი სახლის პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვევა.

კითხვა გამიჩნდა: თეთრი სახლის ნაცვლად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რომ საუბრობს, ნეტა თეთრ სახლში არ უკვირთ?

● კონგრესმენები უნდა ჩამოიყვანო საქართველოში და აჩვენო ის ბინძური უკანონო ფარული ჩანაწერები, რომელთაც სააკაშვილის ხელისუფლება ცხრა წლის განმავლობაში ამზადებდა. მაგრამ რად გინდა — ამ ფარული ჩანაწერების განადგურებას აპირებენ მანამდე, სანამ არ დადგება მათი ავტორების პასუხისმგებლობის საკითხი. შესაძლოა, სადღაც ერთ წელიწადში, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ განაცხადოს, რომ ყველაფერი ტყუილი იყო და არანაირი უკანონო არქივი არ არსებობდა. ძალიან მნიშვნელოვანია იმ უკანონო მასალების დადგენა და ამოღება, რომელიც შსს-ს არქივიდან ხელისუფლების გადაბარების პროცესში გაიტანეს. არ ვარ დარწმუნებული, რომ ის ადამიანები, ვინც გაიტანა ეს მასალა, არ ურეკავენ მთავრობის წევრებს და ამ მასალის გამოქვეყნების მუქარით, არ აიძულებენ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, როგორიც სურთ.

● ზოგი კამერაში ზის, ზოგიც კამერულ მუსიკას უსმენს, მე კი კამერამ დამაჯარიმა 100 ლარით.

● საქართველოს მოსახლეობის 2/3 შიმშილობს და მოითხოვს ტელევიზორს, სარეცხ მანქანას, სავსე მაცივარს, ბინას, სამსახურს, ბანკების ვალებისგან გათავისუფლებას და ვსიო, დანარჩენს თვითონ შეიძენს.

● თენგიზ გუნავა, გია ლორთქიფანიძე, ნიკა რურუა... გუშინდელი მონსტრები დღეს ექსპერტებად გვევლინებიან ქართულ მედიაში?

სხვათა შორის სწორედ მედიის დამსახურებაა ის, რომ 2 ათწლეულის განმავლობაში ქართულ პოლიტიკურ არენაზე სულ ერთი და იგივე ადამიანები რომ ტრიალებენ. თან ისე, მარტივად, თითქოს მედიის პრერორგატივა იყოს ამა თუ იმ პირის რეაბილიტაცია და ლეგალიზაცია.

მედიის დამსახურებაა, რომ ათობით და ასობით ახალგაზრდას არ ეძლეოდა შანსი თავისი სიტყვა ეთქვა პოლიტიკაში. და მედია თავს როგორ იმართლებდა ხომ იცით? :) მაგათ ხალხი არ იცნობს და რატომ გამოვიყვანოთო. ჰოდა, მაგ ლოგიკის გამოა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების და საერთოდ პოლიტიკის კულტურა ფეოდალიზმშია ჩარჩენილი. და ამ პრიმიტიული პოლიტიკური კულტურის შედეგია საზოგადოების ჩაურთველობა პოლიტიკაში, რისი შედეგიც იყო სააკაშვილის რეჟიმიც და ქართული მედიის განუვითარებლობაც. რა საჭიროა მეტი განათლება და თემებში გარკვევა, როცა, ხალხს ისედაც სკანდალი და შოუ უნდა! ხოლო სკანდალი და შოუ იმიტომ უნდა, რომ მედია მეტს არაფერს სთავაზობს, გარდა ერთი და იმავე ტიპების მიერ სხვადასხვა პოზიციიდან გამოსროლილი სკანდალური განცხადებებისა, ამაზე მედია ჩუმადაა.

მოკლედ, ნუ გავიმეორებთ შეცდომებს, ნუ შევქმნით მონსტრებს და მით უმეტეს, ნუ გადავაქცევთ ამ მონსტრებს ანგელოზებად. მედია ძალაუფლებაა, ძალაუფლება კი პასუხისმგებლობა.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ SIC!

სოფელს მიწები სასაფლაოდ გაუყიდეს

„ვარდების რევოლუციისთანავე“ აჭარაში სტიქიური უბედურებები დატრიალდა და ხელისუფლება იძულებული გახდა სტიქიით დაზარალებულები ახალ საცხოვრებლებში განესახლებინა. ნაწილი წალკის რაიონის სოფელ გუნიაკალში ჩაასახლეს. ნაცები სხვა პრივილეგიებთან ერთად, ეკომიგრანტებს ახალი დასახლების ადგილზე მიწების საკუთრებაში გადაცემასაც ჰპირდებოდნენ. მაგრამ გადიოდა დრო და შეპირებულის არც ერთი პუნქტი არ სრულდებოდა. ადგილობრივი ხელისუფლება ჩამოსახლებულებს ტყუილებით კვებავდა — თბილისში ცენტრალური ხელისუფლება ჯერ „შევარდნაძის ნარჩენების“ მოშორებით და მათი აბურდული საქმეების დალაგებითაა დაკავებული და როგორც კი ამას მორჩება, თქვენთვისაც მოიცლისო.

გუნიაკალის ახალ მოსახლეებს სპეციალურად გამოეყოთ ტერიტორია სასაფლაოსთვის. ასეთ წყნარ ვითარებაში უკანასკნელი მიცვალებული იქ 2006 წელს დასაფლავეს.

2009 წელს კი ჩამოსახლებულთ ახალი მიცვალებულის დასაფლავების უფლება არ მისცეს — მიწა გაყიდული იყო. მაშინ ჩამოსულებმა გაყიდულ ფართზე მათთვის გამოყოფილი სასაფლაოს ტერიტორიის შემოსაზღვრა გადაწყვიტეს. ატყდა ერთი ამბავი. ეკომიგრანტებს მიწის მფლობელმა ვინ არ მიუგზავნა — პოლიცია, პროკურატურა, თვით წალკის გამგეობის მაშინდელი მაღალჩინოსნები.

დაბნეული საფლავებჩამორთმეულნი სამართლის გასარკვევად საჩივრებს აგზავნიდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, პარლამენტში, მთავრობაში, მაგრამ პასუხი არსაიდან არ იყო. ჩამოსახლებულებს არც მიცვალებულთა დასაფლავების უფლებას არ აძლევდნენ. სასაფლაოს მიწა მიცვალებულებიანად იყო გაყიდული.

ეკომიგრანტები იძულებულები გახდნენ თავიანთი მიცვალებულები ისევ აჭარაში, ძველ სასაფლაოებზე დაემარხათ. ბევრმა ზეწოლას ვერ გაუძლო და უკვე დასაფლავებულნი აჭარაში გადასვენა. როგორც ჩამოსახლებულნი აცხადებენ, კლიმატური პირობების გამო ზოგჯერ ისინი მიცვალებულიანად უღელტეხილის გავლას 2-3 დღე უნდებოდნენ და უნდებიან.

წალკის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი აცხადებს, რომ მსგავსი სიტუაცია წალკის რაიონის კიდევ ერთ სოფელშია. ილია საბაძეს მიაჩნია, რომ შეცდომა მაშინაა დაშვებული, როდესაც საფლავებიანი მიწა გაიყიდა. მისი ინფორმაციით, გუნიაკალში სასაფლაოს მიწა იჯარით იყო გაცემული, შემდეგ კი გაიყიდა. რადგანაც ამ ეტაპზე მიწის რეფორმა შეჩერებულია, ვერაფერს გავაკეთებთ. განახლდება თუ არა, ვიზრუნებთ, რომ მიწის ამჟამინდელ მფლობელს ანალოგიური ფართი სხვა ადგილას შევთავაზოთ, ხოლო სასაფლაო მუნიციპალიტეტის სახელზე დავარეგისტრირეთ, — პირობას დებს წალკის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ილია საბაძე.

ზაზა ბილიხოძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვითარება

რას მალავდნენ და რისთვის?

„იარაღის სამალავები ბაჩო და დათა ახალაიების ორგანიზებით შეიქმნა“

სამეგრელოში ყოფილი ხელისუფლების მიერ მიწისქვეშ შენიღბულად მოწყობილ, დაფარულ სამალავებში შსს-ს მიერ აღმოჩენილ მასალებს უკვე გამოეხმაურა როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წევრები. პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ შსს-ს მიერ აღმოჩენილი სამალავები განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს.

„რა პირობებში გვიწევდა ცხოვრება და როგორ მუშაობდა უსაფრთხოების სისტემა პოლიტიკური მიზნებისთვის, ამას დეტალურად ვგებულობთ. იმის მოუხედავად, რომ ძალიან რთულია იმის აღქმა, რაც შინგან საქმეთა სამინისტრომ აღმოაჩინა. მიმაჩნია, რომ ეს საკითხი განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს,“ — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას ირაკლი სესიაშვილმა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური მიიჩნევს, რომ შსს-ს მიერ აღმოჩენილი ფაქტობრივი მასალების სიმრავლიდან გამომდინარე, დამნაშავეების იდენტიფიცირება რთული არ იქნება.

„შსს-ს მიერ აღმოჩენილი მტკიცებულებები ადასტურებენ იმას, პირველი ოქტომბრის არჩევნები „ქართული ოცნების“ გამარჯვებით რომ არ დასრულებულიყო, საქართველოს ყველა რეგიონში რეპრესიები იყო მოსალოდნელი. სამეგრელოში რაც იქნა აღმოჩენილი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსგავსი რამ მხოლოდ ამ რეგიონში ხდებოდა. მთელ საქართველოში ვიცოდით, რომ ამზადებდნენ ბრალდებებს ყველა ოპოზიციურად განწყობილი მეტ-ნაკლენად გავლენის მქონე ადამიანების მიმართ. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ჩვენ ძალიან მწარე გაკვეთილები გვაქვს იმისთვის, რომ ვიცოდეთ, კარგი ქვეყანა როგორ მოვაწყოთ,“ — აცხადებს ზვიად ძიძიგური.

მისივე თქმით, ეს ყველაფერი გამოგვადგება იმისთვის, რომ ასეთი ტიპის ნაბიჯებს ხელისუფლება არასდროს გადადგამს. ეს ჭკუის სასწავლებლად კარგია ყოფილ ხელისუფლებაში მყოფი იმ ადამიანებისთვისაც, რომლებიც პასუხს აუცილებლად აგებენ.

სამეგრელოსა და ზემო-სვანეთის რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის თენგიზ გუნავას აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ მასალას ფარულ სამალავებთან დაკავშირებით ხალხი არ დაიჯერებს.

„მსგავსი ზღაპრები ბავშვებს რომ მოუყვნენ, ალბათ, ვერც დაიძინებენ, რადგან უკვე მარაზმია, რაზეც მიდიან. არ ვიცი, თავად თუ სჯერათ. შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებდნენ, რომ თითქოს ტერორისტები დაიკავეს და შემდეგ ისინი ტერორისტები არ გამოდგნენ, იმასაც ამბობდნენ, რომ „თალიბანის“ სახელით გავრცელებული კლიპი საქართველოშია ატვირთული და ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფერი ჩანს. რაღაცეებს ეძებენ, რომ თემები გადაფარონ და ეს უბრალოდ, მათი დღევანდელი პოლიციის სტილია, რომელიც ძალიან ცუდია, რადგან ამას ხალხი, ბუნებრივია, არ დაიჯერებს,“ — განაცხადა თენგიზ გუნავამ.

„დაიცავი საქართველოს“ წევრი კახა მიქაია კი for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ფარული სამალავები სამეგრელოში ძმები ახალაიების ორგანიზებით შეიქმნა. მისივე თქმით, სამეგრელოს ყოფილი პროკურორის როლანდ ახალაიას დავალებით ადგილზე ამას ორგანიზებას მეგის ქარდავა და თენგიზ გუნავა უწევდნენ.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები კი აცხადებენ, რომ შსს მიერ გავრცელებული ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გადაფარვას ემსახურება.

„საერთოდ რითია შინაგან საქმეთა სამინისტრო დაკავებული, ძალიან საინტერესოა. ამ რამდენიმე დღის წინ დააანონსეს, რომ ტერორისტები დააკავეს, მიიყვანეს სასამართლოში და ტერორიზმის მუხლი იქ არ არის მათ წინააღმდეგ, როგორც ვიცით, ბრალი იარაღის უკანონოდ ტარებაზე წარედგინათ. ახლა კიდევ რაღაც დაგვიანონსეს. ვნახოთ, რა გაირკვევა ამ ყველაფრის შემდეგ. საერთოდ, ჩემი აზრით, შსს-ს მოქმედებების სანდოობა უკვე ძალიან დიდ ეჭვქვეშ დგას“, — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გია ხუხაშვილი ფარული იარაღის სამალავების კიდევ აღმოჩენას არ გამორიცხავს.

პოლიტიკური ექსპერტი კახი კახიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ მოპოვებულ მასალებს შინაგან საქმეთა სამინისტრო დეტალურად შეიწავლის. ამასთანავე, კახიშვილი მიიჩნევს, რომ აუცილებლად უნდა დადგინდეს, რა კავშირი აქვს ამ სამალავს კონკრეტული პრობლემების მოწყობასთან.

„გამოძიებამ მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს, ეს იყო ისეთი სამალავი, რომ ვიღაცამ იარაღი დამალა იმის გამო, რომ ქვეყნიდან გარბოდა, თუ ეს იყო სამალავი, რომელიც სპეციალურად იმისთვის, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ამ იარაღის გამოყენებით ქვეყანაში პრობლემები შეიქმნას“, — აცხადებს კახი კახიშვილი.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, თეონა აქუბარდია აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული მასალის გაცნობისას პირველი რაც გაახსენდა, იყო სამხედრო პოლიცია, რომელიც წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლაში, განსაკუთრებით სამეგრელოს რეგიონში.

მისი თქმით, თუკი საუბარია რეზერვზე და მის შეიარაღებაზე, ეს იარაღი უნდა ინახებოდეს სპეციალურ საცავში და არა ამგვარ სამალავში. ამიტომ ექსპერტი აცხადებს, რომ შესაძლოა, ამ ყველაფერში სამხედრო პოლიციის ბრალეულობა გამოიკვეთოს და მმართველმა გუნდმა აუცილებლად უნდა შეისწავლოს, იყო თუ არა ჩართული სამხედრო პოლიცია პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლაში და იყო თუ არა ეს იარაღი სახელმწიფოს ბალანსზე.

თამთა ქარჩავა,
რუსიკო უშიკიშვილი

◎ ბიზნესის სამყარო

ჩხარტიშვილის წინააღმდეგ თურქი ბიზნესმენიც ალაპარაკდა

თურქი ბიზნესმენი ომერ სარი ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის კომპანია „სონატა ალიანს ჯორჯიას“ თანხების მითვისებაში ადანაშაულებს. როგორც ომერ სარის წარმომადგენელმა მამუკა კაკუშაძემ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კომპანიების „პრომეტკო ჯორჯიასა“ და „ჯეესკოს“ კუთვნილი თანხა, სამ მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი ვანო ჩხარტიშვილთან ასოცირებულმა კომპანიამ, შპს „სონატა ალიანს ჯორჯიამ“ მიითვისა, რაშიც უშუალოდ იყო ჩართული ჩხარტიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი ლევან ჯღარკავა.

მისივე განმარტებით, 2003 წელს გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი ფოთის პორტის მესამე, მეოთხე და მეექვსე ნავმისადგომების გრძელვადიანი იჯარით გაცემაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ კომპანიები „პრომეტკო ჯორჯია“ და „ჯეესკო“, სადაც ომერ სარი 5-5%-იან წილებს ფლობდა. თურქი ბიზნესმენის წარმომადგენლის ინფორმაციით, ამ კომპანიებმა შეძლეს ტენდერში გამარჯვება და დაიწყეს ტერმინალების მართვა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004 წელს, ომერ სარს აცნობეს, რომ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ყველა პარტნიორს უნდა დაეთმო თავისი წილის ნახევარი, რომელიც უნდა გადაეფორმებინათ „კოპოლა ვენჩურს ლიმიტედზე“, სამაგიეროდ კი კომპანიას საიჯარო ვადას და ტვირთბრუნვას გაუზრდიდნენ. ასევე იყო შეთანხმება, რომ კომპანიები თანაბარი პირობებით უნდა ემართა ყველა პარტნიორს. ომერ სარი ამ წინადადებას არ დათანხმდა, მაგრამ დათანხმდნენ კომპანიის ქართველი და სხვა უცხოელი პარტნიორები. მოგვიანებით „კოპოლა ვენჩურს ლიმიტედმა“ წინასწარი შეთანხმებით დადგენილი პირობების უმრავლესობა დაარღვია და ეტაპობრივად თავისი წილი 50%-იდან 66%-მდე გაზარდა, რის შემდეგაც ის ერთპიროვნულად მართავდა კომპანიებს.

კაკუშაძის ინფორმაციით, „კოპოლა ვენჩურს ლიმიტედი“ იყო ბადრი პატარკაციშვილის კომპანია. პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ერთ თვეში, 2008 წლის 10 მარტს, „კოპოლა“ ჩაანაცვლა „სონატა ალიანს ჯორჯიამ“.

— ეს გახლდათ ვანო ჩხარტიშვილთან ასოცირებული კომპანია, რომელიც მის მიერვე დანიშნული დირექტორის ლევან ჯღარკავას მეშვეობით ერთპიროვნულად განკარგავდა ორივე კომპანიის „პრომეტკო ჯორჯიასა“ და „ჯეესკოს„ ფინანსებს. აუდიტორული დასკვნით, რომელიც „პრომეტკო ჯორჯიასა“ და „ჯეესკოში“ ომერ სარის მოთხოვნით დაინიშნა, აღმოჩნდა, რომ ლევან ჯღარკავას მიერ მილიონები იყო გატანილი საქვეანგარიშოდ და ფიქტიურ კონტრაქტებზე. 2010 წელს, როდესაც ვანო ჩხარტიშვილს წინა ხელისუფლებასთან ურთიერთობა დაეძაბა, არაბულმა კომპანიამ „რაკიამ“, რომელიც იმ დროს ფოთის პორტის მენეჯმენტში იყო ჩართული, ცალმხრივად შეუწყვიტა კონტრაქტები „პრომეტკო ჯორჯიასა“ და „ჯეესკოს“. ანუ ომერ სარი ბიზნესის გარეშე დარჩა, ხოლო ლევან ჯღარკავამ კომპანიაც დატოვა და საქართველოც, ჯღარკავა ვანო ჩხარტიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი იყო, ხოლო „სონატა ალიანს ჯორჯია“ მასთან ასოცირებული კომპანია.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თავად თურქმა ბიზნესმენმა ომერ სარმა აღნიშნა, 2010 წელს გერგეთის ქუჩაზე ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენელს რატი ღვამბერიას შეხვდა და თანხის დაბრუნება მოსთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო, თუმცა, ომერ სარის თქმით, თანხა არ დაუბრუნებიათ.

ამასთან, როგორც მამუკა კაკუშაძემ აღნიშნა, თურქმა ბიზნესმენმა უკვე მიმართა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს. ომერ სარი ბიზნესის წართმევის საკითხის შესწავლასა და ლევან ჯღარკავას მიერ, ფიქტიური ოპერაციებით მითვისებული 3 მილიონი აშშ დოლარის ბედის გარკვევას ითხოვს.

ამასთან, თურქი ბიზნესმენის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ მათ ბადრი პატარკაციშვილის ქვრივთან, ინა გუდავაძესთან არანაირი კონტაქტი არ აქვთ და მას არც კი იცნობენ.

ინტერპრესი

◎ ალიან-ჩალიანი

სამალავში აღმოჩენილი იარაღი თავდაცვის სამინისტროს იარაღი არ იყო

— ერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ეს არ იყო თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებული ღონისძიება და არ იყო თავდაცვის სამინისტროს იარაღი. ყველა ჩვენი იარაღი, მათ შორის ყველა ტიპის იარაღი, აღრიცხულია. აქედან გამომდინარე, რა მიმართულებით წავა ძიება, ამას უკვე გამოძიება დაადგენს. მე არანაირი განცხადებების გაკეთების უფლება არ მაქვს, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ.

უნდა დაველოდოთ კონგრესის საბოლოო დასკვნას

„კონგრესმენების ინფორმაციის წყარო ბოლომდე გულწრფელი არ არის“, — განაცხადა „ქორთიარდ მარიოტში“ სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული დოკუმენტის კომენტირებისას.

— მაშინ როცა კონგრესის ქვედა პალატაში ასეთი საკითხები განიხილება, ეს არ არის სახუმარო საკითხი, ნამდვილად ანგარიშგასაწევია, მაგრამ მიმაჩნია, რომ კონგრესის საბოლოო დასკვნას უნდა დაველოდოთ თუ როგორ იქნება მიღებული ეს ტექსტი. მე ვთვლი, რომ საჭიროა მეტი მუშაობა აშშ-ის კონგრესთან, რათა მათ ჰქონდეთ მეტი, სრული ინფორმაცია საქართველოსთან დაკავშირებით, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტი დაამტკიცა, სადაც კონგრესის განცხადებაც შევიდა. დოკუმენტში გაკრიტიკებულია ბოლო პერიოდში საქართველოში მიმდინარე მოვლენები, განსაკუთრებით ხელისუფლების მიერ პოლიტიკური ოპონენტების დაკავებები.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ყველაფრისმკადრებელი ნაციონალები

გენერალი გია ყარყარაშვილი მატყუარა გივი თარგამაძისგან პასუხს ითხოვს!

საპარლამენტო უმცირესობის წევრებმა ირმა ნადირაშვილმა და გივი თარგამაძემ თავდაცვის სამინისტროს ელიტურ კორუფციაში დასდეს ბრალი და იმ მაღალი თანამდებობის პირთა დასჯა მოითხოვეს, რომელთაც შეთანხმებებში მონაწილეობა მიიღეს. საქმე ეხება გენერალ გია ყარყარაშვილის მძღოლს, რომელმაც თბილისში, შპს „პროგრეს პლუსი“ დაარეგისტრირა, რომლის 100-პროცენტიანი წილის მფლობელიც თავად არის. ამ კომპანიამ თავდაცვის სამინისტროს ტენდერში მონაწილეობა მიიღო და მოიგო კიდეც. უმცირესობის წევრები თვლიან, რომ ამ კომპანიის უკან სინამდვილეში გია ყარყარაშვილი დგას.

თავად გენერალი ყარყარაშვილი უმცირესობის ბრალდებას for.ge-სთან საუბრისას პასუხობს და გივი თარგამაძისგან დაუყოვნებლივ ითხოვს მტკიცებულების გამოქვეყნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გენერალი აცხადებს, რომ ის თავად ესტუმრება პარლამენტში თარგამაძეს და მას კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს.

„უკვე მეათე თვე მიდის, აღარსად ვჩანვარ. არც არავის გამარჯვებით მისარგებლია და არც არავის დამარცხებით დავმტკბარვარ, უბრალოდ გავეცალე პროცესებს უხმაუროდ... მინდოდა ამ სიძულვილს გავცლოდი. მეგონა, რომ მოვახერხებდი. მაინც არ მომასვენეს... გუშინ ვუსმენდი, რა სიამაყითა და ბედნიერი სახეებით აცხადებდნენ „კორუფციული სქემის შესახებ თავდაცვის სამინისტროში“, ან რა შთამბეჭდავად ჟღერდა: „წინასაარჩევნოდ გაწეული აქტიურობისათვის მილიონ რვაასათასიანი ტენდერი ჯილდოდ“ და ბოლოს, წმინდა ნაციონალური ანალიზის შედეგად გამოთქმული ვარაუდი „ერთ ლარის“ გაყოფასთან დაკავშირებით.

მოკლედ, წინასწარ დანაშაულად ჩაგვითვალეს სიმონიანს, მე და სხვას ყველას ის, რომ ადამიანთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა საკუთარი შრომით თავის გატანა გადაწყვიტა... არადა, მთელი ამ მითქმა -მოთქმისა და მრავლისმთქმელი ციფრების უკან დგას ის, რომ „პროგრესი პლიუსის“ ხუთიოდე თანამშრომელი ადგილზე მომსახურებას უწევს იმ ტენდერების შესრულებას, რომლისთვისაც საქონელი სხვა ქვეყნის მოქალაქის მიერ თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან იგზავნება, ხოლო ფირმის მიერ გაწეული შრომის ხიბლი მდგომარეობს იმაში, რომ ამ შრომის საფასურად იღებს ხელფასს იმ მცირე თანხებიდან, რომელსაც პარტნიორი, უცხო ქვეყნის მოქალაქე ტოვებს გასამრჯელოდ (თუმცა, ვიცი, რომ ამას რასაც ვწერ ჭიქაში ქარიშხლის ამტეხებისთვის მნიშვნელობა არ აქვს, მათთვის მთავარი იყო პოლიტიკური შეურაცხყოფა მოეყენებინათ, რაც ნაწილობრივ უკვე მოახერხეს, მაგრამ ეს ასე არ დამთავრდება).

გივი! პირადად შენ მოგმართავ, პატივი დამდე, მიცნობ და შენ მელაპარაკე და მედებატე. ირმას ჭორებზე გაკეთებულ განცხადებებზე პოლემიკაში ნუ შემიყვან. გამოძიებას ითხოვდით და უკეთეს ვარიანტს გთავაზობ, ოღონდ, იცოდე უპასუხოდ დატოვებას პირადად შენგან არ მივიღებ. გამოაგზავნე ნებისმიერი იურისტი, გინდა ფინანსისტი, პირადად მივეხმარები, რომ „პროგრეს პლუსის“ საბუთებში ჩაახედონ. მათ შორის, საბულალტრო მასალებისა და ფინანსების მოძრაობაში.

სრულად გააცნობენ იმ ფოსტის მიმოწერას, როგორ მიიღო თურქეთიდან შემოთავაზება, როგორც ნდობით აღჭურვილმა პირმა ბიზნესსაქმიანობაზე და ასევე ყოველ მიმოწერას დღევანდელ დღემდე. თუ სადმე აღმოაჩენენ ამ კორუფციულ გარიგებას, ან ვინმესთან „გასაყოფად“ საკმარის მოგებას, თვითონვე გამოცხადდებიან სამართალდამცავ ორგანოებში, მაგრამ ერთი პირობით: თუ მსგავსი რამ არ აღმოჩნდება, საქვეყნოდ მოიხდით ბოდიშს“, — ეს არის წერილი, რომლითაც გია ყარყარაშვილმა მიმართა გივი თარგამაძეს, თუმცა, როგორც ყარყარაშვილი აცხადებს, თარგამაძისგან ამ დრომდე პასუხი არ მიუღია.

— რა კავშირი გაქვთ თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებთან?

— გია ყარყარაშვილი: თქვენ წარმოიდგინეთ არავითარი. ერთი მხრივ მე და ის ადამიანი, რომელიც დამფუძნებელია და დირექტორი, ცდილობს არსებობისთვის რაღაცა გააკეთოს და მიაღწიოს. დასამალი არ არის ის, რომ კაცი შვილი ხელს ვერ ანძრევდა 1 ოქტომბრამდე. ვერც დაგინებას და ვერც დაფიცებას ვერ ვიკადრებ სახალხოდ, მაგრამ ესეც შემიძლია თუ გივი თარგამაძე თანახმა იქნება. საერთოდ, თავდაცვის სამინისტროსთან, არავის, არა თუ ნაცნობობა, არამედ მეგობრობა არ გამოუყენებია. არც მე და არც სხვა იკადრებს, რომ თავდაცვის სამინისტროს ოდნავ მაინც ჩირქი მოსცხონ. არ ვართ ჩვენ ამ კატეგორიის ადამიანები.

— მაშინ რატომ გაკეთდა განცხადება, რომ შპს „პროგრეს პლუსის“ უკან არა თუ თქვენი მძღოლი, არამედ თქვენ დგახართ რეალურად?

— მეც რომ ვიდგე, რა არის ამაში ცუდი? თუ ამ კომპანიიდან მეც მექნება ხელფასი, რა არის ამაში ცუდი? თუ, ჩემთვის ექიმის მიერ დანიშნულ 15 წამალს ყიდვა არ სჭირდება?! თუ ჩემს ავადმყოფობას მკურნალობა არ სჭირდება?! მაგრამ აქ საუბარია იმაზე, რომ არავის არ გამოუყენებია თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა. მივიდნენ და ნახონ საბუთები. ხუთმა ჩემმა ახლობელმა გადაწყვიტა ბიზნესის კეთება. უფრო სწორად, გადაწყვიტა გამოეყენებინა ის შესაძლებლობა, რაც გაჩნდა თურქეთიდან საქონლის გამოგზავნის თვალსაზრისით.

— როგორ ფიქრობთ, ეს იყო პოლიტიკურად ანგაჟირებული ბრალდება თქვენს მიმართ?

— გამოძიება რომ დაინტერესდეს, იტყვიან გამოძიება ტენდენციური იყოო და ყარყარაშვილის წინააღმდეგ თვალი დახუჭესო. ამიტომ, ვიწვევ გივი თარგამაძეს, მის აუდიტს, მივიდნენ და ნახონ იმ კომპანიასთან ვარ თუ არა მე დაკავშირებული, მაგრამ არაფერი ცუდი იმაში არაა თუ ამ ფირმიდან სახელფასო ფონდი ექნება 4-5 ადამიანს. ნახონ, ეს კორუფციული სქემაა, თუ ეს არის კომპანია, რომლის საშუალებითაც 4-5 ადამიანი არსებობს ამ ქვეყანაში...

თუ არ იქნება გივი თარგამაძისგან პასუხი, მერე უკვე მე სხვა ზომებს მივიღებ. იმისათვის, რომ გივი თარგამაძის სულიერი ვნებები დაკმაყოფილდეს, მე ოთხშაბათის ბილეთი დავაბრუნე და საზღვარგარეთ პარასკევისთვის დაგეგმილი ფილტვის ოპერაცია გადავდე და დავრჩი ამის გულისთვის. ველოდები გივი თარგამაძეს.

— თუ გივი თარგამაძის მიერ არ იქნება ყველა ბრალდებაზე გაცემული პასუხი, მაშინ რას იზამთ, მიმართავთ სასამართლოს?

— არა. პარლამენტში ჩავალ და იქ ვნახავ თარგამაძეს. ნებით თუ სხვა ფორმით, მაგრამ პასუხი მაინც იქნება მიღებული თარგამაძისგან. მე იმისთვის არ ვთქვი უარი ჩემს ჯანმრთელობაზე, რომ ვიღაცამ ენა დაისველოს და მერე, თითქოს, არაფერი და გაატაროს.

— რაც შეეხება შპს „პროგრეს პლუსის“ დირექტორს, ვინ არის თქვენი?

— მეგობარია. მეხმარება, მეც მატარებს. ამაში არაფერი დანაშაულებრივი არ არის. მეც ვეხმარები. თვითონ ბიზნესი არის იმდენად პატარა მასშტაბის, იმდენად უბრალო და იმდენად გამჭვირვალე, რომ ამის ნახვა შეუძლია ყველას. კიდევ ვიმეორებ, მე ჩავშალე დაგეგმილი ოპერაცია, ველოდები პასუხს! არ იქნება და მე თვითონ ვეწვევი ქუთაისში. პასუხს მაინც მივიღებ გივი თარგამაძისგან.

თამთა ძარჩავა

◎ კვლევა

რა ემუქრება წიგნის ბაზარს?

უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების პროგრამა და საგამომცემლო ბიზნესი

უფასო სახელმძღვანელოების პროგრამამ, რომელიც განათლების მინისტრმა დააანონსა, დააფრთხო გამომცემლები. საქმეს სასამართლო განიხილავს, სახელმწიფოცა და გამომცემლობებიც გადაწყვეტილებას ელოდებიან. მშობლებისთვის უდავოა, რომ პროგრამა უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ის გავლენას მოახდენს მათ ბიუჯეტზე, მაგრამ წაადგება თუ არა ეს გადაწყვეტილება სტამბებს, უკვე საკითხავია. ამის შესახებ კვლევა ჩაატარა საპატრიარქოსთან არსებულმა ცენტრმა, ახალგაზრდა ანალიტიკოსთა და მეცნიერთა დარბაზმა „დოქტრინამ“ და აღმოაჩინა, რომ გამომცემელთა შფოთი გადაჭარბებულია.

ახალი სასწავლო წლისთვის წიგნების ყიდვა მშობელს საშუალოდ 150-300 ლარი უჯდებოდათ ხოლმე. სხვა დამატებითი წიგნების ყიდვაზე საუბარი ზედმეტი იყო. აქ-იქ მასწავლებელთა მოთხოვნით ეს მაინც ხდებოდა, მაგრამ ნებაყოფლობითი ფორმა ნაკლებად ჰქონდა.

გამოიკითხა 500 მშობელი, მიღებული ფულადი დანაზოგის თუ რა ნაწილს დახარჯავენ ისინი წიგნების შესაძენად, აღმოჩნდა, რომ 20 პროცენტზე მეტი ნახევარს მაინც დამატებითი ლიტერატურის შესაძენად დახარჯავს. 30 პროცენტი — კიდევ უფრო მეტს, ხოლო 46 პროცენტი — დანაზოგს მთლიანად წიგნების საყიდლად მოიხმარს.

ჰპოვებს თუ არა ეს ასახვას გამომცემლობათა საქმიანობაზე? — როგორც „დოქტრინის“ კვლევებიდან ჩანს, კი. საგამომცემლო საქმიანობაში მაღალი რეიტინგი აქვს სწორედ იმ გამომცემლებს, რომლებიც სასკოლო სახელმძღვანელოების ბიზნესით სულაც არ არიან დაკავებულნი. მაგალითად „პალიტრა L“. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა ამ რეიტინგში მე-4 ადგილზეა, როცა სწორედ მას აქვს სასკოლო სახელმძღვანელოების გამომცემელთა შორის ლიდერის პოზიცია. 3 მილიონი არის გამომცემლობა „დიოგენეს“ 2012 წლის წლიური ბრუნვა, რომელიც რეიტინგში მე-6 ადგილზეა. ბრუნვის ასეთივე მაჩვენებელი აქვთ გამომცემლობა „კლიოსა“ და „საქართველოს მაცნეს“, რომლებიც რეიტინგში მე-7, მე-8 პოზიციას იკავებენ.

გამომცემელთა რეიტინგის სათავეში მოხვედრილი სამეული, „პალიტრა L“, „კვირის პალიტრა“ და „მვპ“ სასკოლო სახელმძღვანელოებს არ გამოსცემენ. ამდენად სამინისტროს გადაწყვეტილება არსებით როლს დარგის შეფერხებაზე ვერ მოახდენს. დასაქმების კუთხითაც აქტუალური არ არის საგამომცემლო ბიზნესი. მაგალითად, 2010 წელს ამ სფეროში დაკავებული იყო 656 ადამიანი, 2011 წელს — 546, ხოლო 2012 წელს — 230 ადამიანი. ანუ გამომცემელთა ვიშვიში იმის თაობაზე, რომ თითქოს სამინისტროს გადაწყვეტილება ათასობით ადამიანს უმუშევარს ტოვებს, აბსოლუტურად ალოგიკურია.

კვლევის შედეგად წარმოჩინდა ისიც, რომ ის გამომცემლები, რომლებიც ბესტსელერებზე მუშაობენ, ეკონომიკურ მაჩვენებელს ყოველწლიურად ზრდიან, ხოლო ვინც მხოლოდ სახელმძღვანელოებს გამოსცემენ და სახელმწიფო შეკვეთებზე მუშაობენ, მაღალ შედეგებს ვერ აჩვენებენ. მაგალითად, გამომცემლობების „ინტელექტის“, „მერიდიანისა“ და „სიდის“ წლიური ბრუნვა შარშან სულ რაღაც 25-25 ათასს ლარს შეადგენდა.

კვლევის ხელმძღვანელი მიხეილ დუნდუა ამბობს, რომ გამომცემლობები მოგების ძალიან დაბალ მაჩვენებელს უთითებენ, სულ რაღაც 6-7 პროცენტს, რეალურად კი მათ გაცილებით მეტი მოგება უნდა ჰქონდეთ. **„მაგალითად, თუკი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წლიური ბრუნვა 9 მილიონია, მისთვის წლიური 5-პროცენტიანი მოგება ძალიან დაბალია. თუკი ამ თანხას ბანკში ჩადებს, შეიძლება მან 2-3-ჯერ მეტი სარგებელი მიიღოს. ამიტომ შეუძლებელია გამომცემლებმა ასეთ მიზერულ მოგებაზე იმუშაონ. ჩვენ ვაპირებთ, დავადგინოთ რეალური მოგება როგორი აქვთ და რა ფული კეთდება ამ ბიზნესში. ერთი თვის შემდეგ სავარაუდოდ, ამასაც გავარკვევთ“,** — ირწმუნება ის.

როგორც „დოქტრინის“ წარმომადგენლები ვარაუდობენ, განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება არათუ დაანგრევს საგამომცემლო ბიზნესს, პირიქით, შეიძლება წაადგეს კიდეც. თუკი მშობლები ადრე იძულებით ხარჯავდნენ ფულს სახელმძღვანელოებზე, ახლა კი გამოთავისუფლებული თანხით სხვა ლიტერატურას იყიდიან, მივიღებთ იმას, რომ წიგნის ბაზარს არაფერი დაემუქრება, პირიქით, შეიძლება 12-13-მილიონიანი ზრდაც კი გამოიწვიოს.

თუკი სახელმწიფოს გადაწყვეტილება ძალაში დარჩება, სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგების შემთხვევაში, საგანგაშო არაფერია. მთავარია, შეიცვალოს გამომცემლობების მენეჯმენტი. უმჯობესია, თუკი ისინი ახალი საინტერესო ლიტერატურის გამოცემაზე გადაერთვებიან და შეიცვლიან სტრატეგიას, — ამბობენ „დოქტრინას“ ექსპერტები.

თეა მოსია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მხარს უჭერენ

„დრო, დასრულდეს თანამდებობრივი ექსპერიმენტები აფხაზეთთან დაკავშირებით“

ჩვენ, ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სავსებით ვიზიარებთ ჩვენი ღირსეული თანამემამულის, დევნილთა გადარჩენისათვის ბრძოლის ურთულეს ეტაპზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელის, ბატონი ზურაბ ერქვანიას მოსაზრებას (თან ერთვის), გამოთქმულს 24 მაისს, ბ-ნ ვახტანგ ყოლბაიას საკითხთან დაკავშირებით* და მხარს ვუჭერთ აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის ხელმძღვანელად იმის მალე დანიშვნას!

მართლაც, „ხომ არ დადგა დრო, დასრულდეს თანამდებობრივი ექსპერიმენტები აფხაზეთთან დაკავშირებით“ და საქმე ჩავაბაროთ ამ მომენტისათვის ყველაზე მომზადებულ, ისეთ ქმედითუნარიან და მოტივირებულ ადამიანს, როგორიც არის ბ-ნი ვახტანგ ყოლბაია?

მოვუწოდებთ მის ოპონენტებს: მოდით, დავამთავროთ ეს კინკლაობა და გადავიდეთ საქმეზე! ასე აჯობებს, პირველ რიგში, ჩვენთვის — დევნილებისთვის და მერე ყველასთვის!

ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით:

ალუ გამახარია — ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“, ფონდი „სოხუმი“, სოხუმის „ორგტექნიკა“;
ნაპოლეონ მილორავა — საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“;
როლანდ კოპალიანი, იზოლდა ხასაია — კოალიცია „ნდობა“,სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები;
მერი გვაძაბია — ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“;
მერი გელაშვილი — „მეწარმე ქალთა ფონდი“;
არჩილ ელბაძიძე — „აფხაზინტერკონტი“;
ნანული რამიშვილი, მერი ლობჟანიძე — პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“;
მთვარისა სახეიშვილი — „მედიკოსთა ინიციატივა“;
ბესიკ ადამია — სამშვიდობო კლუბი „LLL“
და სხვ.

* იძნებ, დადგა დრო, დასრულდეს თანამდებობრივი ექსპერიმენტები აფხაზეთთან დაკავშირებით. ჩვენ ხომ შინააშლილობის, თანამდებობრივი კინკლაობის მწარე გამოცდილება გადმოგვყვა სოხუმიდან... ერთის მხრივ, ცხარე დებატები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურებზე სასარგებლოც არის, ვინიდან ეს დისკუსია პროვოცირებს აფხაზეთის მივიწყებულ პრობლემატიკაზე საჯარო დისკუსიებს. ამასთანავე, მიუღებელია წრეგადასული ცილისწამება და არაკორექტულობა. ბატონ ვახტანგ ყოლბაიასთან 37 წლის თანამოაზრეობა და მეგობრობა მაკავშირებს. ეს მისი ოპონენტებისათვის ცნობილია. ეს არანაირად არ მზღუდავს, საჯაროდ განვაცხადო: მისი პოლიტიკური, საქმიანი და პიროვნული თვისებები, დიდი გამოცდილება სრულად უპასუხებენ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის საპასუხისმგებლო თანამდებობას. მთავარი ის გახლავთ, რომ ის კომპეტენტური პრაგმატიკოსია! მას კარგად აქვს გაცნობიერებული აფხაზეთის შემომტკიცების სისხლხორცეული აუცილებლობა, ჩინებულად იცნობს აფხაზეთს, აფხაზეთის საზოგადოებას, ადათ-წესებს, ეთნიკურ თავისებურებებს, მენტალობას, აქვს აუცილებელი პირადი და ახლო ნათესაური კავშირები. იგი ომის შემდეგ ჭირსა და ლხინში გვერდით ედგა ჩვენს თანამემამულეებს და მათ შორის, ყველასგან მიტოვებულ გალის რაიონს. კონფლიქტის „თეთრ ლაქებს“, პასუხგაუცემელი კითხვების სიჭარბეს, პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებსა თუ დანაშაულებრივი უმოქმედობის ფაქტების სიმრავლეს ბატონ ვახტანგს ნუ მივაწერთ. ბატონი ვახტანგის კანდიდატურა რომელიმე პოლიტიკურ ძალას არ წარუდგენია, ეს იყო ლოგიკური მოვლენა, რომელიც არავის გაკვირვებია. ის არ არის და არც ყოფილა პოლიტიკურად ანგაჟირებული პიროვნება!

ზურაბ ერქვანია,
აფხაზეთის ექს-მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ქ.თბილისი, 2013 წლის 24 მაისი.

◎ პამფლეტი — „კანფეტი“

კვლავ სახელფასო უსინდისობა და უპატრონო ქვეყანა

გაიფიცა საავადმყოფოს პერსონალი... გაიფიცნენ სასწრაფო სამედიცინო სამსახურის თანამშრომლები... გაიფიცნენ მეხანძრეები... ტყიბულელი მეშახტეები... ჭიათურელი მაღაროელები... გაიფიცნენ ზესტაფონელი მეტალურგები... გაიფიცა სკოლის პედაგოგიური კოლექტივი...

ბევრნაირია საგაფიცვო „მამოძრავებელი ძალა“, თუმცა, მთავარი მიზეზი, გაფიცულთა და „გაფიცვადთა“ ძირითადი მოთხოვნა ხელფასების მომატებაა. სრულიად საფუძვლიანი და სამართლიანი, არადა, მხოლოდ მღაღადებლებად რჩებიან უდაბნოსა შინა — არასრულ საქართველოსა შინა...

საფუძვლიანი და სამართლიანი იმიტომაცაა, რომ ამ არასრულ საქართველოში, ამ საშინელ სოციალურ ფონზე გარკვეული სამსახურებრივი კატეგორიებისთვის — ძლიერთათვის ამა ქვეყნისა — სულაც არ ჭირს ანაზღაურების გაზრდა. აგერ, ჩვენს საოცნებო მინისტრებს, არ დასჭირვებიათ გაფიცვა თუ საგაფიცვო კომიტეტის შექმნა — გულმოწყალე და ფულმოწყალე პრემიერმა ეგრევე მოუმატა ხელფასები და „ცხელფასები“ გაუხადა კალმისა თუ პასტის ერთი მოსმით. რითვის, რაში — რომ არ ჩანს? დამისახელეთ თუნდაც ერთი სამინისტრო, ერთი უწყება, სადაც მდგომარეობა გამოსწორებულიყოს უნარიანი ხელმძღვანელის, მარჯვე შეფის წყალობით... მინისტრებს არც პარლამენტარები ჩამორჩნენ, თხაზე ნაკლები თხისა არ იყოს — პრემიები გაიუქმეს, მაგრამ ხელფასები გაიზარდეს თურმე და ამაზე ხომ არ არის ნათქვამი, შესაკრებთა გადაადგილებით ჯამი არ იცვლებაო... ისევ რაში, რისთვის — ერთმანეთთან კინკლაობისათვის, ვერმოქმედი კანონების მიღებისათვის, სხდომების გაცდენისათვის, დარბაზის დემონსტრაციულად დატოვებისათვის, ამომრჩეველთა გაბითურებისათვის?..

მინისტრებმა ხომ სულ აიწყვიტეს და მართალია, „პრეზიდენტისავით“ ვერა, მაგრამ მაინც კაი გვარიანად დაფრინავენ — დაგრიალებენ საზღვარგარეთ, ამდენს ნაცთა მინისტრებიც არ „გულაობდნენ“ მგონი... შედეგი? საქულას ვირის თავ-ფეხი?..

...ახლახან პრემიერი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს შეხვდა და ისე მოეწონა „იქაურობა“, რომ მოსამართლეებსაც „დაემუქრა“ ანაზღაურების გაზრდით. ამ დროს კი საცოდავ, სატირლად სასაცილო ხელფასებზე „სხედან“ მასწავლებლები, ექიმები, საბავშვო ბაღების აღმზრდელები, კვლევითი ინსტიტუტების (შემორჩენილების!) მეცნიერი თანამშრომლები, უმაღლესი სკოლების პროფესორები, სხვები და სხვები... ასე სატირალ-სასაცილოა პენსიები — მთავრობაში 8-10 წელიწადს ნამსახურევთ 500 ლარიდან ზემოთ რომ ენიშნებათ და ათეულ წლობით სკოლაში ნამუშევარს, სამედიცინო დაწესებულებაში ნამუშევარს, მიწისქვეშ ნამუშევარს — ასიოდ ლარის მახლობლად... თანაც მერე 5-10 ლარის დამატებას რომ ასე „უპიარებენ“ და ამადლიან...

შემორჩენილი ქვეყანა რომ ისევ ჩალითაა დახურული და ქაროცნელები სახურავის გამოცვლას ვერ ახერხებენ, თბილისის მერის კადნიერი საქციელითაც კარგად მოჩანს: რატომ უნდა ბედავდეს თუნდაც ასეთი თანამდებობიდან, რომ „უმუშევრად“ დარჩენილ ათთხუთმეტ ექსდეპუტატს 5 ათას-5 ათასიან ხელფასებს უნიშნავდეს რაღაც მოგონილ სამეურვეო კომისიებსა თუ კომიტეტებში? იქ დღეში 170 ლარისას რას მიკეთებენ, ნეტავ? ან რა იმისთანა ტაბულა მოიფიქრა ერთმა მაღალჩინოსნის, უშიშრის, ვითარცა უხორცოს ცოლმა ისეთი, რომ თვეში 15 ათას ლარს „უღიმის“? უმუშევართათვის დასაქმების ადგილების შექმნის მაგიერ, მავანთათვის დაუსაქმებლობის ადგილები იქმნება, თანაც მაღალანაზღაურებიანი?..

...ბატონო პრემიერო, პატივცემულო პრემიერო, მე, რასაკვირველია, შარშანდელ საოქტომბრო ჩემს ერთ საბრალო ხმას არ გაყვედრით, არ ვიმადლები; ოღონდ მაშინ მეგონა, რომ ხმას სხვა ბიძინა ივანიშვილს ვაძლევდი: რევოლუციურს, გამბედავს, სამართლიანს, ობიექტურს, იმ დიდი, მანამდე გაუგონარი ქველმოქმედების ღირსეულ გამგრძელებელს, რაც მანამდე თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის სიყვარულმა გააწევინა. მეგონა, რომ წლევანდელ იანვარში მოითხოვდით ამ მოუშორებელი ჭირის, ამ გიჟის საიმპიჩმენტო კამპანიის წამოწყებას თვალთმაქცი, თავხედი დასავლელი პოლიტბოსებისათვის ანგარიშგაუწევლად; რომ მიხედავდით ნაცთაგან ამდენი წართმეული ქონების, მეცნიერებათა აკადემიისათვის, მედიისათვის ამდენი ჩამორთმეული და უსინდისოდ გაყიდული შენობების დაბრუნების, ამდენი ეროვნული საკუთრების გასხვისების, დიდკაცთა და დიდქალთა პარპაშ-გრიალისა, და სხვა პრობლემებს... მეტყვიან — ჯერ ცხრა თვეც არ გასულა, რა უნდა მოესწროთ, ვაცალოთო. მინისტრების, პარლამენტარების, მოსამართლეების ანაზღაურების აწევა ხომ კარგად მოესწრო? და კიდევ არაერთი სხვა რამ, ოღონდ ნეგატიური?..

...პატივცემულო პრემიერო, ბატონო პრემიერო, ამ ზარს, ვკადნიერდები და, თქვენ კართან ვრეკავ. შემორჩენილი ქვეყანა ისევ მარტო ჩალით დახურული კი არა, უპატრონოცაა; და უპატრონო ეკლესიისა და ეშმაკებისა არ იყოს, კვლავ უპატრონო საქართველოს „საკუთარი“ ეშმაკები გამოუჩნდნენ: თურქები, რუსები, არაბები, ჩინელები, ინდოელები და „разные прочие шведы“... ეპატრონებიან კიდევაც და წარმატებითაც.

...მე? მე რა შემიძლია; ეგ კია, ხანდახან გუნებაში „არსენა მარაბდელის“ კარპიჩასავით შევძახი ხოლმე, პუგაჩოვი გვინდა, პუგაჩოვი-მეთქი!..

ბერდია ბედოიძე

◎ ალიან-ჩალიანი

ფოცხვერიაც გაება

სამართალდამცველებმა ამნისტიის საფუძველზე ახლად გათავისუფლებული ე.წ. კანონიერი ქურდი ტარიელ ფოცხვერია ისევ დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევ ტარიელ ფოცხვერიას ბრალად კანონიერი ქურდობა ედება.

შსს-ს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ტარიელ ფოცხვერია არის ე.წ. „კანონიერი ქურდი“ და აღიარებს ქურდულ სამყაროს.

— იგი ქურდული სამყაროს სასარგებლოდ აწყობდა ქურდულ გარჩევებს, იღებდა ე. წ. ქურდულ გადაწყვეტილებებს, მითითებებს აძლევდა ქურდული სამყაროს სხვა წევრებს და მათი გავლენის ქვეშ მყოფ პირებს. დადგენილია, რომ ბრალდებული ამ სახით მონაწილეობდა ქურდული სამყაროს მართვასა და ორგანიზებაში, — აცხადებენ შსს-ში.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულს კავშირი ჰქონდა ქურდული სამყაროს მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფ საზღვარგარეთ მცხოვრებ სხვა პირებთან.

სამართალდამცველებმა ტარიელ ფოცხვერია ბრალდებულის სახით თბილისის ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში დააკავეს, სადაც ის მკურნალობის კურსს ბადრაგების ზედამხედველობის ქვეშ გადიოდა.

საქართველოში ვინც შემოდის, ყველა ტურისტი როდია

მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, საქართველოში შემოსული პირების მხოლოდ 57%-ია ტურისტი. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ გუშინ სასტუმრო „რედისონში“ ტურიზმის ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმა და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ჩატარებული კვლევის შედეგები წარმოადგინა.

გიორგი სიგუას თქმით, ცხრა წლის მანძილზე ქვეყანაში ტურიზმთან დაკავშირებით ქვეყანას სტრატეგია არ შეუქმნია და ერთი ადამიანის ნება-სურვილზე იყო დამყარებული ამ სფეროში აქტივობები.

მისივე განცხადებით, იგეგმება სტრუქტურული ცვლილებები, შეიქმნება რეგიონალური მართვის ორგანიზაციები. ადგილებზე გაძლიერდება საქართველოს ჩართულობა ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა საქართველოში იმართებოდეს ტურიზმისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები, მომზადდება კანონი ტურიზმის შესახებ და დიდი ყურადღება მიექცევა შიდა ტურიზმის განვითარებას.

ტურიზმის ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმის პრეზენტაციაზე ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ამ სფეროში დასაქმებულ პირებს მათ კონკრეტულ ქმედებებზე ესაუბრება და მათ წინადადებებს მოისმენს.

რეჟისორი კულტურის სამინისტროსთან შიმშილობას იწყებს

კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე ეროვნული კინოცენტრის სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსის შედეგების გაუქმების მოთხოვნით უვადო შიმშილობას აცხადებს. როგორც ლევან ანჯაფარიძემ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ეროვნულმა კინოცენტრმა 2 თვის წინათ სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსი გამოაცხადა, სადაც მისმა პროექტმა ვერ გაიმარჯვა.

— იქ არიან არაპროფესიონალები, რომლებიც ასე წყვეტენ შემოქმედი კაცის ბედს, — განაცხადა ლევან ანჯაფარიძემ.

რეჟისორი უნდობლობას უცხადებს ეროვნულ კინოცენტრს, კონკურსის კომისიის წევრებს და შედეგების გაუქმებას მოითხოვს, რის გამოც, კულტურის სამინისტროსთან უვადო შიმშილობას აცხადებს.

რეჟისორი ასევე მოითხოვს, რომ შესწავლილ იქნას ჟიურის წევრთა კომპეტენტურობის საკითხი, ასევე გადაისედოს კინოცენტრის კონკურსის შეფასების კრიტერიუმები, საჯარო გახდეს მეორე ტურში გადასული ყველა ლიტერატურული სცენარი. მისივე თქმით, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიძიონ კინოცენტრის ფინანსური საქმიანობა, გაბათილდეს სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსის შედეგები, გათავისუფლდნენ კინოცენტრიდან არაპროფესიონალი კადრები და სახელმწიფო პრიორიტეტად მიჩნეული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი პრიორიტეტული გახდეს ქართულ კინემატოგრაფიაში. რეჟისორი ასევე მოითხოვს, რომ განისაზღვროს კინემატოგრაფიის როლი სახალხო დიპლომატიაში. ლევან ანჯაფარიძის განცხადებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ორ დღეში კულტურის სამინისტროში მისი საკითხი კომისიის განხილვის საგანი იქნება. მისივე თქმით, იგი „დიდი იმედის თვალით უყურებს“ კულტურის მინისტრს გურამ ოდიშარიასა და მის მოადგილეს მანანა ბერიკაშვილს. ლევან ანჯაფარიძე არის რეჟისორი და სცენარის ავტორი ფილმებისა „ბუდე“, „ორმაგი სახე“, „არის ასეთი ქვეყანა“ და სხვა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვარაუდი

ვინ რას მოიგებს ტერაქტების თემის წამოწევით

ტერაქტების თემა ახალი ხელისუფლების პირობებშიც ინარჩუნებს პოპულარობას, მართალია, „ენვერიადას“ ვერ შეედრება, მაგრამ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთბრალდებების საფუძველი უკვე გახდა.

საკაშვილის გუნდი ვიდეოებისა და შესაძლო ტერაქტების პრეზიდენტის სახელთან ნებისმიერი ფორმით დაკავშირებას სიცრუეს და პროვოკაციას უწოდებს. ასევე თვლის, რომ ეს სპეციალურად ხდება. მოკლედ „თალიბანის“ სახელით გავრცელებულ ვიდეოების ავტორობას პრეზიდენტისა და პრემიერის ადმინისტრაცია ერთმანეთს აბრალებს. ასეა თუ ისე, მოსალოდნელი ტერაქტების თემა ხელისუფლებამაც საკმაოდ წარმატებულად აიტაცა და ტერორისტული აქტის ჩადენის მცდელობაც კი აღკვეთა.

ვის აწყობს მსგავსი თემების წამოტივტივება, ვინ რა სავარაუდო პოლიტიკური ქულები შეიძლება მიიღოს ამით, ამ თემაზე ექსპერტი რამაზ საძმარელიძე გვესაუბრება.

— ბატონო რამაზ, როგორ ფიქრობთ, ვის აწყობს ასეთი თემების წამოწევით ქვეყანაში ქაოსური სიტუაციის შექმნა და საბოლოოდ, შეიძლება თუ არა ამით ხელშესახები სარგებელი მიიღონ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პოლიტიკურმა ძალებმა?

— თვითონ ეს ცრუ ქაოსიც ქაოსურია და არ ტოვებს რაიმე ცენტრიდან მართულის შთაბეჭდილებას. ბოლო დროს ავღანეთის თემასთან მიბმული რამდენიმე საკითხი წამოტივტივდა — ნატოს ჯარებიდან კონტინგენტის გამოწვევის საკითხი მრავალ ქვეყანაში დამდგარა და შედეგიც გვინახავს, რომ ანგარიში გაუწევიათ და უკან გამოუწვევიათ კონტინგენტი.

ტერაქტების მუქარაც არ ტოვებს რეალურის შთაბეჭდილებას და არსებობს ეჭვი, რომ ის ვიდეორგოლები საქართველოშია დამზადებული. ამ ყველაფრიდან პოლიტიკური დასკვნები არ გამომდინარეობს და რჩება შთაბეჭდილება, რომ ვიღაცამ შავი იუმორის გამოვლენა მოინდომა. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს რომელიმე პოლიტიკურ ძალასაც აწყობდეს. მოგეხსენებათ, ბევრ ქვეყანასთან თავისუფალი სავიზო რეჟიმი არსებობს და, შესაძლოა, არსებობენ ჯგუფები, რომლებიც მხარს უჭერენ ავღანურ თემას და ამ მოტივით ქართველების იქ ყოფნას აპროტესტებენ.

— საზოგადოებაში თემის პროვაცირებას ნაცმოძრაობას უკავშირებენ - თეორიულად რომ დავუშვათ, ამით რას მოიგებს ნაცმოძრაობა, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ხელშესახებ რეიტინგს შეიქმნის?

— სიმართლე გითხრათ, კონკრეტულად რომელიმე პოლიტიკური ძალისთვის არის თუ არა მომგებიანი ასეთი ვიდეორგოლების გავრცელება, ეს არ ჩანს. ხელწერას რაც შეეხება, ბევრი ანალოგიური ხულიგნობა ჩაუდენია ნაცმოძრაობას, მაგრამ ვიდრე ძიება საბოლოოდ არ დასრულდება, მოტივის დასახელება რთულია.

იხ. 8 გვ.

◎ ლაბირინთი

„აგულავებს“ უგულავა „იბერიას“?

ფუტსალში საქართველოს ჩემპიონის თბილისის „იბერია სტარის“ გასაჭირი არასალია. უეფას თასის ოთხთა ფინალის თბილისში გამართვის შემდეგ, გუნდი დაშლის პირას მივიდა. ეს იმ პერიოდში ითქვა, როდესაც ქართული საფეხბურთო კლუბების პრობლემები გაცხადდა. ერთდროულად, გულშემატკივარს თავზარი რომ დასცა გორის „დილას“, „ზესტაფონის“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და მათთან ერთად, კიდევ ბევრის სატკივარმა. ცხადია, კატასტროფულ პრობლემებს ვგულისხმობთ, თორემ ქართულ გუნდებს როდის ულხინდათ?! როდესაც საშუალო სტატისტიკური ევროპის კლუბების ბიუჯეტები 6-7 მილიონი ევროა, ჩვენში ყველაზე მდიდარი თბილისის „დინამო“ ნ-6 მილიონდოლარიანი ბიუჯეტით იწონებს თავს.

ცხადია, ეს დალხენილი ცხოვრებით არაა გამოწვეული. ფუტსალი ფეხბურთის ბიძაშვილია, მაგრამ გაცილებით ღარიბი სახეობაა. ევროპული გრანდების ბიუჯეტები 10-12 მილიონი ევროს ფარგლებში მერყეობს. ამის გათვალისწინებით, სულ რაღაც 500-ათასლარიანი ბიუჯეტით „იბერია სტარის“ ევროპის საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა გმირობის ტოლფასი გახლდათ.

საქართველოს ჩემპიონმა შეძლო ისიც, რომ ამ წარმატებებზე უეფამ თვალები ვეღარ დახუჭა და თბილისს ევროპის უეფას თასის მასპინძლობის უფლება მიანიჭა, რომლის გახსნას უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი დაესწრო.

„იბერია სტარი“ მეოთხე ადგილს დასჯერდა. მაგრამ მისი თამაში იძლეოდა რეალურ იმედს, რომ საქართველოს ჩემპიონს რეალურად შეეძლო ფუტსალის ჩემპიონთა ლიგის მოგება და 1981 წლის 13 მაისის სიხარულის გამეორება, რა თქმა უნდა, სათანადო დაფინანსებისა და მხარდაჭერის პირობებში. ამის იმედს, წლების განმავლობაში, „იბერია სტარის“ ჩინებული გამოსვლა იძლეოდა: გუნდი ამარცხებდა ევროპის უმდიდრეს კლუბებს, ხოლო ელიტრაუნდში აჯობა ჩემპიონთა ლიგის 2010 და 2011 წლების გამარჯვებულებს, ლისაბონის „ბენფიკას“ (7-4) და იტალიის ჩემპიონს „ლუპარენსეს“ (6-1). „იბერიას“ ეკუთვნის ლიგაში 10-მატჩიანი წაუგებელი სერიის რეკორდი, რომელიც ჩემპიონთა თასის მფლობელ „შარლერუასთან“ გამარჯვებით დაიწყო.

სამწუხაროდ, თბილისში „იბერია სტარი“ საკუთარი თავის აჩრდილს ჰგავდა. ამას ყველაფერს, წინ ოთხთა ფინალამდე გუნდიდან ბრაზილიელი მწვრთნელის სერჟიო ბენატის წასვლა უძღვოდა. მიზეზი ვერავინ ახსნა, მაგრამ ტურნირის დასრულებიდანავე გაცხადდა, რომ „იბერია სტარი“ დაშლის პირას ყოფილა და რომ ფინანსური კრიზისის გამო, ძირითადი შემადგენლობის ოთხი ბრაზილიელი მოთამაშის შენარჩუნება ვერ მოახერხა. ფაქტობრივად, ჩვენმა ჩემპიონმა ოთხთა ფინალში მეორე შემადგენლობით ითამაშა.

კლუბის ხელმძღვანელთა განცხადებით, „იბერია სტარის“ არსებობას საფრთხე შეექმნა. 11 წლის მანძილზე კლუბი მხოლოდ დამფუძნებლის ვახო წერეთლის ფინანსებით აღწევდა წარმატებებს. ეს იმ დროს, როდესაც მოსკოვის „დინამოს“ 15 კომპანია ასპონსორებს (ბიუჯეტი 25 მილიონი დოლარი), „კაირათს“ — 13 (ბიუჯეტი 15 მილიონი დოლარი). არათუ ოთხთა ფინალის, ლიგის ელიტრაუნდის მონაწილე არცერთ გუნდს 10 სპონსორზე ნაკლები არ ჰყავდა, „იბერია სტარის“ გარდა.

1 ივნისს იწურებოდა ვადა, როდესაც საქართველოს ჩემპიონს, „იბერია სტარს“ უეფაში ჩემპიონთა ლიგის მომდევნო სეზონში მონაწილეობაზე განაცხადი უნდა წარედგინა და საჭირო დოკუმენტაცია უკვე გააგზავნეს. მაგრამ პრობლემები კვლავ მოუგვარებელია: ქართველმა ბიზნესმენებმა, უმაღლესი ლიგის საფეხბურთო კლუბებმა, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ და თბილისის მერიამ კლუბის დახმარება ვერ მოახერხეს. რეალურად არავინ დაინტერესებულა დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში საუკეთესო ქართული კლუბის ბედით და სურვილი არ გასჩენიათ, ევროპული სპორტის ფლაგმანთა შორის ქართული დროშა რომ ფრიალებდეს.

„განაცხადს რა აზრი აქვს, თუ ვერ მოვემზადეთ და გუნდი ვერ გავიყვანეთ? და თუ ეს ვერ მოვახერხეთ, „იბერია სტარი“ დაიშლება“, — სინანულით თქვა გუნდის სპორტულმა მენეჯერმა გიორგი დარჯანიამ.

თუმცა, კლუბი არსებობას არ წყვეტს, გაკოტრებულად ჯერ არ ცხადდება და ხავსს ეჭიდება, იქნებ, ვინმეს გული გაეხსნას და რამე ქნას. ბოლო იმედი მოულოდნელი ნაბიჯი იყო. ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად, უმაღლესი ლიგის საფეხბურთო კლუბებმა ბიძინა ივანიშვილის მთავრობას მიმართეს და იმედოვნებდნენ, რომ თითოეული 2 მილიონ ლარს მიიღებდა. ეს ფუჭი და ილუზიური ოცნება აღმოჩნდა, მაგრამ გარკვეულმა წრეებმა ამ მოთხოვნას, საბოტაჟი და შეთქმულება უწოდეს.

„იბერია სტარი“ სხვა გზას დაადგა და არა ახალ ხელისუფლებას, არამედ თბილისს მერს გიგი უგულავას მიმართა:

„ბატონო გიგი, კიდევ ერთხელ მოგმართავთ და შეგახსენებთ, რომ „იბერია სტარს“ სჭირდება თქვენი და თბილისის მუნიციპალიტეტის დახმარება. გვჯერა, არ დაგვიწყებიათ ახლახან თბილისში ევროპის ჩემპიონთა ლიგის ფინალის მასპინძლობა. ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას თავად ესწრებოდით და გვახსოვს თქვენი გულშემატკივრობაც.

დღეს საქართველოს თითოეული მოქალაქის, სპორტის ქომაგისა და პირადად თქვენი ვალია გადავარჩინოთ გუნდი, რომელმაც ბოლო 32 წლის განმავლობაში საუკეთესო შედეგები აჩვენა სპორტის ყველა გუნდურ სახეობათა შორის.

ჩვენ შევხვდით თბილისის მერიის სპორტის განყოფილების უფროსს, ქალბატონ ირმა პატარავას, ვისგანაც დახმარებაზე დადებითი პასუხი ვერ მივიღეთ.

სპორტის ექსპერტებისა და გულშემატკივრების შეფასებით, საფუძვლიანი ეჭვი გვიჩნდება, რომ სახეზეა „იბერია სტარის“ მიზანმიმართული დისკრედიტაცია.

ვის და რატომ უნდა აძლევდეს ხელს მხარში არ ამოუდგეს, არ დაეხმაროს ასეთ წარმატებულ გუნდს და მოხდეს მისი ქართული სპორტის ისტორიიდან წაშლა.

დიახ, ამ ეჭვს ამყარებს, თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ზოგჯერ არც ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების მაღალბიუჯეტიანი დაფინანსება, რაც ღიად ჩანს თბილისის მერიის ბიუჯეტში.

„იბერია სტარს“ ბევრის გაკეთება შეუძლია ქვეყნისთვის, ქალაქისთვის, თითეული გულშემატკივრისთვის და თუ დღეს საქართველო ევროპისკენ მიისწრაფვის, რატომ და ვის აწყობს ასეთი წარმატებული ქართული გუნდისთვის მომავალი ევროპული წინსვლის შეჩერება.

ასევე გაურკვეველია დაფინანსების შერჩევითობის პრინციპი. საქართველოში არაერთი მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება გუნდების დაფინანსება, რისი საუკეთესო მაგალითიც გორის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი კლუბის სრული მხარდაჭერაა, რომელიც წელს ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს. ამ დროს კი ხდება ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი „იბერია სტარის“ სრული იგნორირება და დისკრედიტაცია. როგორ ხერხდება თბილისისაზე ბევრად მცირე ბიუჯეტის მქონე მუნიციპალიტეტების მიერ კლუბების დაფინანსება, როდესაც 2013 წლის გეგმით თბილისის ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი თითქმის შვიდას მილიონს შეადგენს.

იმედს ვიტოვებთ, რომ ერთი კვირის განმავლობაში პირადად შეგვხვდებით და ერთად გავარკვევთ, ვის სურს დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში ყველაზე წარმატებული ქართული გუნდის ლიკვიდაცია“.

რა ვალდებულია თბილისის მერი გიგი უგულავა, დაეხმაროს კერძო კლუბს? ეს, ერთი შეხედვით, ვალდებული არ არის. მაგრამ „იბერია სტარში“ უგულავას ამბავი იციან და დახმარების იმედი ამიტომ გაუჩნდათ.

სრული სერიოზულობით მოგახსენებთ — თბილისის მერი ხელგაშლილი კაცია და თუ არა მისი, აბა, ვისი იმედი უნდა ჰქონდეს მსოფლიო სარბიელზე საქართველოს ღირსეულ წარმომადგენელს?

„იბერია სტარი“ ბოლო დროს გავრცელებულმა ცნობებმა შეაგულიანა: რომ დედაქალაქის მერის სარეზერვო ფონდიდან თანხა ჩაურიცხეს „ქომედი გრუპს“, ჯგუფ „კენზოს“ და ქართველ მომღერლებს კონცერტის გასამართად; „ფორმულა კრეატივ გრუპს“ რაგბის ეროვნული ნაკრებისთვის დოკუმენტური ფილმის გადასაღებად; საერთოდაც, ტკბილი ენები ამტკიცებენ, რომ მერმა უზარმაზარი თანხები დახარჯა გართობებზე, კონცერტებზე და ა.შ. ეს ფაქტები კიდევ უფრო აძლიერებდნენ მისი, როგორც კეთილშობილი, ახალგაზრდობის თანამდგომი მერის იმიჯს, რომ თბილისის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი, 51% არის „სხვა ხარჯები“.

ბოლოს და ბოლოს, კაცი ისეთი ხელგაშლილია, სტრიპტიზ-ბარში სტუმრების დასვენებას ცივილურად შეუწყო ხელი (სულ რაღაც 5 ათასი ლარი), ქაჯი ქართველივით არ მოქცეულა და „მამული, ენა, სარწმუნოება“ არ გახსენებია, ევროპელები არ მოუწონებდნენ.

არ მოგეწონათ? აგერ, ბატონო, უკეთესი ამბები: წყალბურთის გუნდის ბიჭები ჭკვიანად იქცევიან, აუზში წყალს უსხამს და სხვა ხარჯებსაც უნაზღაურებს, „სუხიას თასის“ გათამაშებას ეხმარება, ახლობელ-მეგობრების უბნები მინი-მოედნების გარეშე არ დაუტოვებია და კაცმა მეტი რა გააკეთოს?

ეგაა, „იბერია სტარის“ მოთხოვნა კუთხეში აყენებს: გაცილებით ნაკლები ბიუჯეტით, გორის მუნიციპალიტეტმა „დილას“ 2 მილიონი ჩაურიცხა, ევროთასებზე ქალაქს თავი რომ არ მოჭრას და 700-მილიონიანბიუჯეტიანი თბილისის მერს ისე რა გაუჭირდება, „იბერიას“ 500 ათასით არ შეეწიოს?

არჩევნებია მოახლოებული, პოლიტიკურადაც მომგებიანი იქნება და ქენი რამე, შე დალოცვილის შვილო, მილიონებს წყალს და ტოტო კუტუნიოებს ატანდი, ერთი მადლიანი საქმე გავნებს? სადაც ქართული სპორტის ხვალინდელ დღეზე იქნება საუბარი, „იბერიაზე“ შენი არა-ც და შენი კი-ც ყველგან წინ დაგხვდება. იმ „სხვა ხარჯებიდან“ შავი დღისთვის გადადებული ფულიც კოორდინატორებისთვის ხომ არ გადადე? ბოლოს და ბოლოს, ლგბტ-ს უჭერ მხარს და ამ წარმატებული გუნდის თანადგომა იმიჯს გაგიფუჭებს?

თორემ, კაცმა რომ თქვას, „იბერია სტართან“ მართლა რა კავშირში ხარ, ან რა ვალდებულება გაგაჩნია, მაგრამ ისე, ზრდილობიზა...

ნოდარ კვაჭაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთელებს, რომლებზეც ეჭვი აქვთ, რომ ამზადებდნენ ტერორს საქართველოში, 31 ივლისს გაასამართლებენ

მიკაელ კადიევმა და რიზმან ომაროვმა, რომლებზეც საქართველოში აქვთ ეჭვი, რომ ისინი ამზადებდნენ ტერორისტულ აქტს, დაადასტურეს, რომ რუსეთის მოქალაქეები არიან. ამის შესახებ ჩვენს გაზეთს აცნობა მათმა ადვოკატმა ირმა ინასარიძემ.

— ჩემი დაცვის ქვეშ მყოფები თავს დამნაშავეებად არ ცნობენ, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

17 ივნისს ინასარიძემ შეიტანა აპელაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს 15 ივნისის გადაწყვეტილებაზე კადიევისა და ომაროვის აყვანის შესახებ 50 დღე-ღამის ვადით. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს 72 საათის განმავლობაში. თუ თხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული, პროცესი დაიწყება 31 ივლისს, გვაცნობა ადვოკატმა.

ბიძაშვილები კადიევი და ომაროვი დაკავეს საქართველოს დედაქალაქში 13 ივნისს. ამ დროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მათგან ამოიღეს პლასტიდის, დეტონატორების დიდი ოდენობა. ამავე დროს ორივეს ხელთ აღმოაჩნდათ როგორც ნამდვილი, ისე, როგორც ჩანს, ყალბი რუსული დოკუმენტები, რომლებიც მათ გვარებზე არის გამოწერილი. ქართველი ოპერატიული მუშაკების ეჭვი გამოიწვია ბიძაშვილების პასპორტებში ფოტოგრაფიების მსგავსებამ, ამ დროს ისინი ერთმანეთს არ ჰგვანან. ახლა გამოძიება არკვევს, რისთვის დასჭირდათ მათ ყალბი დოკუმენტები. ადვოკატი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ კადიევმა და ომაროვმა არ იციან, თუ როგორ შეიძლებოდა მოხვედრილიყო ყალბი დოკუმენტები იმ ბინაში, სადაც ისინი დააპატიმრეს.

საქართველოში შვეიცარიის საელჩოსთან არსებული რუსების ინტერესების სექციაში ჩვენს გაზეთს აცნობეს, რომ არ მიუღიათ

საქართველოს ხელისუფლებას ჯერჯეროობით არ უცნობებია რუსეთის მხარისთვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა დაკავების შესახებ

ოფიციალური დადასტურებანი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების დაპატიმრების შესახებ. ასევე აქ არ მოუმართავთ დაკავებულთა ნათესავებს. დიპლომატებმა აღნიშნეს, რომ „უამისოდ რაიმე საკონსულო დახმარების გაწევისთვის ისინი უფლებამოსილები არ არიან“.

კადიევზე, რომელსაც დაღესტანში დაუსწრებლად წაყენებული აქვს ბრალდება 2009 წელს ჰასავიუტის რაიონის ხელმძღვანელის მკვლელობასთან დაკავშირებით, რუსეთის მიერ გამოცხადებულია ძებნა ინტერპოლის ხაზით. საქართველოს მთავარ პროკურატურაში ჩვენს გაზეთს აცნობეს, რომ გზავნილი მოსკოვიდან ექსტრადიციის შესახებ ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ მზად არიან მის განსახილველად.

— საქართველოში ჩვეულებრივი პრაქტიკის თანახმად, ასეთი საკითხების განხილვისთვის გამოიყოფა ცხრა თვე. ეს სავსებით საფუძვლიანი ვადებია, — აღნიშნეს პროკურატურაში. **— ამ დროს არ არის გამორიცხული ეჭვმიტანილების სხვა ქვეყნისთვის დროებითი გადაცემა, რათა იქ მათთან მოხდეს საგამოძიებო მოქმედებები კონკრეტულად შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში. მაგრამ იგი შემდეგ უნდა დაგვიბრუნდეს ჩვენ.**

საქართველოსა და რუსეთს, რომლებსაც არ აქვთ დიპლომატიური ურთიერთობანი 2008 წლის ომის შემდეგ, მაინც აქვთ ურთიერთმოქმედების ბაზა ამ გამოძიებასთან დაკავშირებით. საკითხი, კერძოდ, შეეხება მინსკის 1993 წლის კონვენციას სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ მოქალაქეებთან, ოჯახებთან და სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, აგრეთვე ევროპულ კონვენციებს გადაცემისა და ერთობლივი სამართლებრივი დახმარების შესახებ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, რომელთა მონაწილეებიც ორივე მხარეა.

კადიევი და ომაროვი ამჟამად თბილისში გლდანის № 8 სამწუხაროდ ცნობილ ციხეში იმყოფებიან. სწორედ იქიდან გამოჟონა შარშან სექტემბერში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ვიდეომასალებმა პატიმრებზე დამამცირებელი მოქმედებების შესახებ, რამაც საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია და რამაც ხელი შეუწყო ხელისუფლების შეცვლას 2012 წლის ოქტომბერში პარლამენტის არჩევნების დროს.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

◎ ვარაუდი

(მეხუთე გვერდიდან)

— ხელისუფლებაში დაბნეულობის შეტანა რომ განვიხილოთ მოტივად, როგორ ფიქრობთ ეს ვისთვის შეიძლება აღმოჩნდეს მომგებიანი ?

— დაბნეული ხელისუფლება ბევრ ძალას აწყობს, მაგრამ არ მგონია, „ქართულ ოცნებას“ ისეთი მონოლითურობა ეჩვენებინა განვლილ პერიოდში, რომ მის დაბნევაზე ეზრუნა ვინმეს — სულ იმას უჩივიან, არაკოორდინებულად მოქმედებენო. დაბნევა შეიძლება მოგინდეს ისეთი მოწინააღმდეგის, რომელიც თავის ორგანიზებულობით პრობლემებს უქმნის ვიღაცას. როდესაც პირიქით ხდება, იქ ხელოვნური საფრთხეების გაჩენამ, შესაძლოა, მეტი მობილიზაცია მოახდინოს.

— ნაცმოძრაობის პოლიტიკური ასპარეზის შენარჩუნებისთვის ამ თემების გამოყენება რამდენად არის შესაძლებელი?

— ავღანეთის თემას რაც შეეხება, არ უნდა აწყობდეს ნაცმოძრაობას იმ თვალსაზრისით, რომ კონტინგენტის გაზრდა მის კისერზეა, ამიტომ ვერ ვხედავ პერსპექტივას, რომ ამ თემით რაიმე სარგებელი მიიღონ, ვერ ვხედავ საფუძველს, მოსახლეობაში რომელიმე თემით დატოვონ ის პოზიტივი, რომელიც აღაზევებს ნაცმოძრაობას.

— შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ეს ხდება მაღალჩინოსნების მოსალოდნელი დაკავების გამო — ხელისუფლებასთან სავაჭრო თემად რამდენად გამოდგებოდა ასეთი პროვოკაციები?

— არ არის გამორიცხული. გვახსოვს, მსგავსი მოთხოვნა იყო ნაციონალების მხრიდან წამოყენებული საკონსტიტუციო ცვლილებების დროს, რომ ტოტალური ამნისტია გამოცხადებულიყო, მაგრამ ავღანური თემა არ მგონია ხელისუფლებასთან სავაჭრო თემად იქცეს და რაიმე პირობებზე მისი დათანხმება მოახერხონ ნაციონალებმა. საზოგადოებისთვის ავღანური ტრაგედია მთელი თავისი სიმძიმით ისევ ძველ ხელისუფლებას აწვება და არ გადმოაქვთ ახალ ხელისუფლებაზე.

— თვითონ სააკაშვილმა რა შეიძლება მიიღოს, მაგალითად ტერაქტების თემის გააქტიურებით? ფაქტია, რომ იწინასწარმეტყველა...

— ამ საკითხს ბევრი უკირკიტებს და ცდილობს ამოხსნას. ერთადერთი ლოგიკური ახსნა შეიძლება იყოს, რომ ნაციონალებმა საკითხი იქამდე გაამწვავონ, დღის წესრიგში დადგეს ჯარების გამოყვანა ან შემცირება და მერე დაიწყონ იმის მტკიცება, რომ რუსული ორიენტაცია ჰქონდა „ქართულ ოცნებას“ და ჯარები ამიტომ გამოიყვანაო - ეს თუ ხდება, ცხადია, — დასავლეთისთვის.

ვინ რას ელოდება ტერაქტების თემის წამოწევით

სხვა საკითხებშიც ხშირად ცდილობენ, თავიანთი მსჯელობა ამ ლოგიკამდე მიიყვანონ, მაგრამ ეს იმდენად შორეული რამ შეიძლება იყოს (მაგალითად, ჯარების გამოყვანა დიდი არეულობის ფონზე), რომ მეეჭვება, ნაციონალურმა მოძრაობამ ოქტომბრამდე ამ შედეგის მიღება მოახერხოს.

— ფაქტია, რომ საზოგადოების ყურადღების გადატანა მაინც ხდება, იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლებას ყველა დარგში სერიოზული სამუშაო აქვს შესასრულებელი. როგორ ფიქრობთ, თავს გაართმევს, რომ სტაბილურ კალაპოტში გადაიტანოს ყველაფერი?

— არაერთხელ გვითქვამს, რომ ხელისუფლება პიარში მოიკოჭლებს. სხვა სფეროებშიც, ლოდინის დრო სავარაუდოდ, გვიან შემოდგომამდე გაგრძელდება, იმ პერიოდისთვის, როდესაც ნაციონალური მოძრაობის რესურსები ბევრად შემცირდება. თუმცა, იმ სფეროებშიც, სადაც ნაციონალთა რესურსები მცირეა, არ მგონია, ხელისუფლება საკმაოდ ფხიანად მოქმედებდეს.

მოსახლეობაში გარკვეული სკეპტიციზმია და გასაგებიცაა, რადგან პოლიტიკურ არენას თუ გადავხედავთ, ასეთი პასიურობა წლების მანძილზე ახასიათებდათ დღევანდელ სახელისუფლებო პარტიებს. მაგალითად, რესპუბლიკელები რომელიმე პარტიას თუ ვერ იპოვიდნენ ლოკომოტივად, ისე ვერ შედიოდნენ პარლამენტში. ალასანიას გუნდსაც მეტ-ნაკლებად ახასიათებდა ასეთი პასიურობა - მერის წაგებული არჩევნები შეგვიძლია გავიხსენოთ, იმის მიუხედავად, რომ თბილისი ოპოზიციურად იყო განწყობილი.

ეს ის სიმპათიური ხალხია, რომელსაც პოლიტიკური ბრძოლისუნარიანობა ნაკლებად ახასიათებს. ასევე ნაკლებად ბრძოლისუნარიანია ივანიშვილის პარტიაც, სადაც სხვადასხვა სფეროებიდან გაერთიანდნენ ადამიანები და პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება ნაკლებად აქვთ.

სამივე ჯგუფი ნაკლებად ბრძოლისუნარიანია და გამარჯვება ივანიშვილის უპრეცედენტო რეიტინგმა და პირადად მისმა მაღალმა ბრძოლისუნარიანობამ განაპირობა — მან შესანიშნავად გათვალა წინასაარჩევნო კამპანია და სხვათა შორის, მისი ხელმძღვანელობით ძალიან კარგად იმუშავეს ამ პარტიებმაც.

შემდეგ ეტაპზე, როცა პოლიტიკოსებს თავიანთი „უბანი“ მიებარათ, მოსალოდნელი იყო, ისევ წამოტივტივებულიყო მათი არაბრძოლისუნარიანობის საკითხი. ვიცით ეს ინტელიგენტთა პარტიებია, ხოლო პასიურობა ინტელექტუალთა სენია და პოლიტიკურ ბრძოლაში კუნთები რომ გაიმაგრონ, ამას გარკვეული დრო სჭირდება.

თუ მოახერხებენ და პოლიტიკურ ბრძოლას ისწავლის, შემდგომში მეტ წარმატებებს მოიხვეჭს ეს კოალიცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი რამ ბედ-იღბალზე და პიროვნულად, ბიძინა ივანიშვილზე იქნება დამოკიდებული.

— ასეთ ფონზე რამდენად შესაძლებელია პროვოკაციები გახშირდეს რუსეთის მხრიდანაც? ვიცით, რომ ყოველ წინასაარჩევნო პერიოდში საზღვრებთან დაძაბულობის საბაბი ყოველთვის გამოიძებნება-ხოლმე. შესაძლოა, ხელისუფლებაში დაბნეულობის შესატანად რაღაც მსგავსი სცენარიც იგეგმებოდეს?

— სიტუაციის სერიოზულ დაძაბვას არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ არ ველოდები, ავღანეთის თემა ტრაგედიაა, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკური კრიზისის გამომწვევი სიტუაცია. საზღვარიც არაერთხელ გადაუწევ-გადმოუწევიათ და ამასაც პოლიტიკური კრიზისი არ გამოუწვევია. თუმცა, ცხადია, რომ რუსეთი დაინტერესებულია, ივანიშვილს შეუქმნას უსიამოვნო წერტილები და მერე ამ ფონზე აწარმოოს მასთან დიალოგი — რუსეთს ეს ზოგადად, ახასიათებს. ჩამოაგდებს რაღაც სირთულეს და მერე სხვა რამ გიხდება სათხოვნელი, ეს სირთულე რომ არა, სხვა რამეს სთხოვდი და აქამდე რომ არ მივიდეს საქმე, ახალ-ახალ სირთულეებს თავადვე ქმნის-ხოლმე ხშირად. რაღაც ამგვარ თამაშს შეიძლება თამაშობდეს რუსეთი, მაგრამ ასეთი თამაში იმასაც ხაზს უსვამს, რომ ივანიშვილი რუსეთის პერსონა არ არის.

— მოსალოდნელია თუ არა არჩევნების მოახლოებასთან ერთად სხვადასხვა ტიპის, უფრო სერიოზული სიურპრიზებიც მომრავლდეს?

— ისეთი საგანგაშო, რაზედაც ქართველებს იმუნიტეტი არ ჰქონდეთ გამომუშავებული, არაფერი მოხდება. ამგვარი სიტუაციები ქრონიკულად გვექმნება ხოლმე და უფრო მეტ სირთულეებს არ მოველი.

მარიამ თოდაძე

დედამიწის ზურგზე

„ისტორიული მომენტი“: ნატომ გადასცა კონტროლი ავღანეთში უსაფრთხოებაზე ადგილობრივ სამხედროებს

„ხვალიდან ყველა ოპერაცია უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ იქნება ავღანეთის უსაფრთხოების ძალების ხელთ“, — განაცხადა ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ საზეიმო ცერემონიაზე, რომელიც გაიმართა კონტროლის გადაცემასთან დაკავშირებით. ტერორისტები ამ აქტს მორიგი აფეთქებებით გამოეხმაურნენ. დასავლეთის კოალიციის ჯარები, სხვათა შორის, ავღანეთიდან არ მიდიან.

* * *

ლე ბურჟეში რუსეთის საბრძოლო ავიაცია კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა, მაგრამ „ბოინგი“ და „აირბასი“ მაინც ლიდერობენ კონტრაქტებით

რუსეთის ფედერაციის სამხედრო პროდუქციას მიენიჭება მთელი „ხმაური“, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ ბიუჯეტის შეკვეცის გამო უარი განაცხადა მასში მონაწილეობაზე. მაგრამ ავიასალონის უკვე პირველსავე საათებში ამერიკისა და ევროპის წამყვანმა სამოქალაქო კომპანიებმა გააფორმეს კონტრაქტები 30 მილიარდ დოლარზე. ზოგიერთი პიროვნება საფრანგეთში მიიჩნევს, რომ რუსეთი ლე ბურჟეში საერთოდ არ უნდა შეეშვათ.

* * *

არქეოლოგებმა კამბოჯის ჯუნგლებში ლაზერის დახმარებით ძველი ძალაძი აღმოაჩინეს

როდესაც პნომ კულენის მთის ტერიტორიას შვეულმფრენებით უვლიდნენ, მეცნიერებმა ლაზერის დახმარებით შეადგინეს მეჰანდრაპარვატის რუკა ქუჩების, არხებისა და ტაძრების მითითებით. ჩვეულებრივი ძიების დროს, რაც მრავალი წელია გრძელდება, მათ ვერ შეძლეს, მიეღწიათ ასეთი შედეგებისთვის. ვარაუდობენ, რომ ქალაქი დაარსდა IX საუკუნეში და იგი მიატოვეს იმის გამო, რომ დაშრა წყალსაცავები.

* * *

„ნასამ“ შეარჩია რვა ადამიანი, რომლებიც მარსზე გაემგზავრებიან: ოთხი მათგანი ქალია

ამერიკის კოსმოსურმა სააგენტომ დაასახელა იმ ბედნიერების სახელები, რომლებიც აღიარეს საუკეთესო კანდიდატებად „მარსიული მისიისთვის“ 6100 კაცს შორის, რომლებმაც განაცხადები გამოაგზავნეს. მათ შორის არიან მფრინავები, სამხედროები, მედიკოსები და მეცნიერები. „ნასას“ აზრით, მათ შეეძლებათ, გაუზიარონ ერთმანეთს სხვადასხვა გამოცდილებანი. მონაწილეები მარსზე უნდა გაფრინდნენ 2020 წლისთვის.

* * *

„ანტისაფეხბურთო ბუნტი“ სროლებით ბრაზილიაში: მსოფლიო ჩემპიონატის მოწინააღმდეგეები ავიდნენ პარლამენტის სახურავზე

ასობით ათასი კაცი აგრძელებს საპროტესტო აქციებს ქალაქებში სან-პაულუ, რიო-დე-ჟანეიროი, ბრაზილია. დედაქალაქში აქტივისტებმა შეძლეს, გაერღვიათ რკალი პარლამენტის შენობის მახლობლად, სადაც იმ მომენტში ათობით კანონმდებელი იმყოფებოდა. პოლიციამ დამრღვევები დაშალა რეზინის ტყვიებითა და ცრემლსადენი გაზით. შვიდმა კაცმა მიიღო ჭრილობა ცეცხლსასროლი იარაღით.

* * *

რუსეთმა დაიწყო აზერბაიჯანის ერთმილიარდიანი შეიარაღება, ამ დროს არ შეეშინდა, გაეღიზიანებინა სომხეთი

საკითხი შეეხება 94 ტანკ ტ-90-ს, დაახლოებით 100 ბმპ–3, 18 თვითმავალ საარტილერიო დანადგარს, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის 18 გამშვებ სარაკეტო დანადგარს, 18 თვითმავალ საარტილერიო ქვემეხ „ვენას“ და 6 მძიმე ცეცხლსასროლს, რომელთა გადმოტვირთვაც უკვე მიმდინარეობს ნავსადგურში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ „გზა სამეფო მიხაკით“

სიყვარულის ლამაზი სხივით... სცენაზე

ლია რუსიაშვილის 50 წელთან დაკავშირებულ შემოქმედებით საღამოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. იქვე შეგეძლოთ მისი პოეტური კრებულის შეძენა: „გზა სამეფო მიხაკით“, რომელიც გამომცემლობა „საუნჯემ“ დასტამბა. **„ლია რუსიაშვილმა შეძლო და ერთმანეთს შეუთავსა-შეუხამა თავისი ორი სიყვარული — უფლისა და პოეზიისა. მან ეს გააკეთა მისთვის ჩვეული ოსტატობით, იმ დიდი პოეტური ენერგიის სრული მობილიზებით, რომელსაც ახალგაზრდობიდან გრძნობდა თავის თავში და, რომელიც ახალი ძალით, ახალი ბრწყინვალებით გამოვლინდა მის ამ ახალ პოემებში“...** — პირველად თვალში **პაატა ნაცვლიშვილის** სიტყვები მომხვდა, მერე გამახსენდა, რომ ამ უნიჭიერესმა ქალბატონმა ერთხანს შეგნებულად უარყო მხატვრული შემოქმედება და შვიდი შვილი უბოძა სამშობლოს. და აი, ახლა იგი დაბრუნდა, კვლავ ჩვენს წინაშე იდგა და გვიკითხავდა უმშვენიერეს ლექსებს, თითქოსდა „მიდის მიღეღლავს ქარსაყოლილი სიტყვათა ნაკადი, ნაკადი მძაფრი განწყობილებისა“ (ოთარ ჩხეიძე):

„აღარც ურჟოლაა ხმათა,
აღარც ქოხია ისლის...
და წელიწადებს გაპყვა
მაგნოლიების ნისლი“...

„ის დაედევნა საკუთარ აჩრდილს, რომ დაემალა სველი თვალები. ჩუმად მიიღო მიწის შენდობა და გამგზავრებაც იყო მალული; მოასწრო, სანამ გაფითრდებოდა — მონანიება და სიყვარული“...

„ჰე, სიყვარულის ცხელი ზედაშე მათრობდა და მეც ვკვდებოდი უცბად“... — წერს ლია და, საუკუნის ნახევარგზაგავლილი სცენაზე სიყვარულის სხივით გარემოცულიყო, ლამაზი სხივით...

ერეკლე საღლიანმა გამორჩეულ, საკუთარი ხელწერის მქონე პოეზიად შეაფასა ლია რუსიაშვილის შემოქმედება და მისი ლექსები წაიკითხა.

„მშვენიერ საგანს თუ მეტისმეტად ახლოს მიიტან თვალთან, აღუქმელობა-შეუცნობელობისთვის გაწირავ, ასევე მნიშვნელოვან წიგნს თუ ანგარიშმიუცემლად მიეჭრები, ან გადაჭარბებული ემოცია შეგიპყრობს, ან მასში გამოხატულ განცდათა მხარშექცევით შეცნობამ, შესაძლოა, აგიბნიოს გზა... მე დარწმუნებული ვარ, ლია რუსიაშვილის პოეზია თავისი განზოგადებულობით, საყოველთაო და საყოველდროო ინტერესების საგნად ყალიბდება, ამასთან როგორც მაღალ ლირიკას შეეფეერება, უაღრესად სახეობრივია, პოეტის ლექსის ტაეპები, ზოგჯერ მთელი სტროფები შექსპირული აზროვნების ნიშნითაა აღბეჭდილი“... — აღნიშნა საღამოზე პროფესორმა **თენგიზ კიკაჩეიშვილმა**.

პოეტს იუბილე მიულოცა ბატონმა **გენო კალანდიამ**. მისი თქმით, ლია რუსიაშვილი არა მხოლოდ შესანიშნავი ლირიკოსია, არამედ მძიმე დემოგრაფიულ ვითარების ჟამს შვიდი შვილის აღმზრდელი დედაც.

პროფესორმა **ედიშერ ჭელიძემ** აღნიშნა, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ამ საღამოს გამართვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ეს სასწავლებელი სულიერ კერად, ძველი ტრადიციების სიმბოლოდ რჩება.

მან ლია რუსიაშვილის უკვე ოთხ ტომად გამოცემული საბავშვო თხზულება „სალი კოლხელი“ სიახლითა და უჩვეულობით გამოარჩია — ეს არის სარწმუნოებრივი ხატით აღქმული პროზაული ჟანრით გადმოცემული თხზულება და ქართულ რეალობაში ერთადერთი ასეთი რომანიაო.

ლიტერატორმა **შორენა ქურთიშვილმა** საგანგებოდ იმსჯელა „სალი კოლხელზე“ და აღნიშნა, რომ „სალი კოლხელი“ დროული და საჭირო შენაძენია ქართველი ბავშვებისა და ქართული ოჯახებისთვის, უმცროსებისა და უფროსებისთვის. ის მარადიული წიგნია, რომელიც მარადიულ სიმართლეზე გვესაუბრება, — ღირებული ლიტერატურაა, რომელსაც ძალუძს ჩვენი შვილების სულიერ მეგზურად იქცეს.

მანვე ლია რუსიაშვილის პირველივე პოეტურ განაცხადს განუმეორებელი და თვითმყოფადი უწოდა, როგორც თავად მის პიროვნებას, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების სტუდენტურ თაობაში ეშხითა და ნიჭიერებით იყო გამორჩეული: **„ვინ იცის, როდინდელ უშორეულეს ფესვებიდან გენეტიკურად ამოზიდულ ჯიშში განსხეულებული ხატება ქართული სილამაზისა, სინაზესთან ერთად აზროვნებისა და ხედვის არაორდინალურ მანერასაც ავლენდა. თითქოსდა გრძნობდა, დაატარებდა იმ გამოუთქმელ საიდუმლოს, რომელსაც სამყაროსთან შეხებისას აღიქვამდა“...**

ლია რუსიაშვილის ლექსები წაიკითხა **ია ჯღარკავამ,** სიმღერით მიესალმნენ პოეტს **მარინა კოლხიდაშვილი**., ანსამბლი **„კვირია“,** სოსო ფუტკარაძის ანსამბლი **„ყვარელი“** ... ულამაზესი იყო გოგი ჩაჩავას გუნდის **„ჩვენი შვილების“** საცეკვაო ნომრები, აღსანიშნავია, რომ კონცერტში თავად ლიას შვილები მონაწილეობდნენ. მოწონება დაიმსახურეს: თეკლა ნოდიამ და ნიკა ზარნაძემ, ნანა ნოდიამ და გიორგი წიკლაურმა. გამოირჩეოდა **ირაკლი მათიკაშვილის** ანსამბლი „ხეურო“...

საღამოს დასრულების შემდეგ კი თავად ლიას სიტყვები მოგვყვებოდა: პოეტი ერის მოძღვრის სამსახურში უნდა იდგეს, გამესამედებულ საქართველოში ერის მოძღვრობის ფუნქცია გადაგვარჩენს. მე ის იმედი მასულდგმულებს, რომ დავითისეულ და თამარისეულ საქართველოს დავიბრუნებთ...

ეს საღამოც ამ იმედის ანასხლეტად იქცა.

თამარ შაიშმელაშვილი.

ავტორის ფოტო

ლია რუსიაშვილი

პეიზაჟი

რა შეუჩნდათ მაინც ღრუბელ-მხატვრებს,
მიწა ლამის გაახვიოს შარში!
ქრება, ისევ იხატება ცაზე
წუთისოფლის მეგობრული შარჟი.
ძველ სამარხში გაიბრწყინებს წამით —
დედოფალთა დამტვრეული ჯიღა,
შესცივდება სიზმარეულ ყვავილს,
და ქაოსში გაიცინებს ვიღაც.

ქუჩის ელდას აირეკლავს სარკე
და ლოდინი საღამოებს ართობს...
მოყვითალო დისკო მოჩანს ცაზე
და ოთახშიც სიყვითლეა მარტო.

* * *

ისე შეშფოთდა მოხუცი თელა,
რომ გაუშეშდა ტოტები ლამის...
გაიშრიალა ღრუბლებში ელვამ
და უცამედად დადუმდა ჟამი.
იმზირებოდა სიჩუმე ისე,
რომ შეიგრძნობდი უხილავ მიჯნას;
შეაზანზარა ქუხილმა სივრცე
და ჩაიჩეხა ჰორიზონტს მიღმა.
კრთოდა სანთელი მართალ მლოცველის,
იფანტებოდა შუქი ელდებად;
იმ სიზმარს ჰგავდა წუთისოფელი —
რომ იხსენებ და არ გახსენდება...

ხალხურ კილოზე

დაჯარდნენ ბერი ყორნები,
ხევში ჩაცვივდნენ ზრიალით:
— „ჭიუხს მოსწყდაო ხარ-ჯიხვი,
ყომრალი, ჯავარ-რქიანი“...
ერთი გახედე, ქარ-ლაღო,
გაბრუნდნენ თვალებწყლიანნი:
— „ეგ სიყვარულმა მაჰკლაო,
არ შაგვერგება ღვთიანი!“...

◎ ალიან-ჩალიანი

ბანკზე თავდამსხმელი დაკავებულია

შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისში, გურამიშვილის გამზირზე მდებარე „პრივატ ბანკზე„ ყაჩაღურ თავდასხმაში ბრალდებული დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებული პაატა კ. 10 ივნისს, 12:30 საათზე, „პრივატ ბანკში“ თანამშრომელს იარაღით თავს დაესხა და ფული მოსთხოვა. შსს-ს ცნობით, ბანკის თანამშრომელმა თავდამსხმელს წინააღმდეგობა გაუწია, რის შედეგადაც, პაატა კ-მ ბანკიდან ფულის წაღება ვეღარ შეძლო და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ყაჩაღობაში ბრალდებული პირი თბილისში, მომხდარიდან რამდენიმე დღეში დააკავეს. ნივთმტკიცებად ამოღებულია იარაღი, რომელიც დაკავებულს თავდასხმისას თან ჰქონდა. შსს-ს ცნობით, დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ინტერპრესი

◎ რა გვეხუმრება...

ჯილდო მაძღარ პრეზიდენტს შიმშილობის დაძლევისათვის

კარგია არა? იტალიაში, შიმშილობის დაძლევისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საერთაშორისო ფორუმზე, ჯილდოს იღებს მიშიკო! ჯილდოს იღებს (რატომ ღმერთი არ გაიცინებს!), **საკუთარი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, სოციალური სფეროს სასიკეთოდ გარდაქმნის გამო!** ყოჩაღ, მიშა! შენმა „უცხოელმა მეგობრებმა“, ცხადია, არ იციან და, დარწმუნებული ვარ, არც აინტერესებთ სინამდვილეში, რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში, ხოლო თუ იციან, როგორ შიმშილობს მისი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, როგორ ითხოვს ხალხი ისევ უფასო სასადილოების გახსნას, როგორ იქექებიან გაუთავებლად სანაგვეებში, როგორ იღუპებიან უჭმელობით ბავშვები, რა სიტუაციაა სოფლად და ქალაქად, მაშინ, ვარიანტი არ არის შენთვის ჯილდო გადმოეცათ, მაშინ, ნაღდად „ჩაწყობასთან“, კორუფციასთან გვაქვს საქმე!.. სხვა რა ვიფიქროთ მიხეილ?! გასკდა თავი! რაც არის, არის!.. რეზიდენციაში თვალსაჩინო ადგილას მაინც გამოაკარი ეგ ჯილდო, როგორც უტყვი დასტური შენი შუბლზე ოფლგადმომდინარე მოღვაწეობისა!

ვილენ მარდალეიშვილი

ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დაინტერესებული მხარეების საყურადღებოდ აცხადებს, რომ 2013 წლის 12 აგვისტოს ორშაბათს 12:00 საათზე დაბა გომის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის შენობაში გაიმართება აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის E-60 აგარა დასავლეთი-ზემო ოსიაურის გზის მონაკვეთის (114კმ-126კმ) მოდერნიზების სამუშაოების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

გზშ პროექტი და არატექნიკური რეზიუმე ხელმისაწვდომია:

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურში, ქ.თბილისი, გულუას ქ. №6 (გზშ-ს ანგარიშის ამობეჭდილი ვერსია);
- საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე: www.georoad.ge

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მითითებულ საკონტაქტო პირებს; ლუიზა ბუბაშვილს, ტელ: 595219141 . likabubashvili@yahoo.com

შენიშვნების მიღების ბოლო ვადა არის 2013 წლის 2 აგვისტო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სატენდერო მოწვევა

საქართველო
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მეორე პროექტი (SLRP II) (P122204)
სატენდერო მოწვევა #SLRP II/CW/NCB-14

ჩალაუბანი–სიღნაღი–ანაგა გზის კმ16-კმ22 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები

1. საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მეორე პროექტისთვის (SLRP II). აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ადგილობრივი მნიშვნელობის ჩალაუბანი–სიღნაღი–ანაგა გზის კმ16-კმ22 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების ასანაზღაურებლად.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რათა წინასწარი და მიწის სამუშოების განსახორციელებლად და საფარის, ხელოვნური ნაგებობების, მიერთებების, გზაჯვარედინებისა და გზის კუთვნილება-მოწყობილობების სარეაბილიტაციოდ დალუქული კონვერტებით წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდია 12 თვე.

3. სამუშაოების წინასწარი ღირებულება შეადგენს 2,803,000.31 ლარს ყველა სახის გადასახადის და სახელმწიფო მოსაკრებლის ჩათვლით, როგორც ეს წარმოდგენილია ინსტრუქციის 14.7 ქვეთავში. თუმცა, ტენდერში მონაწილის პასუხისმგებლობაა წარმოდგენილი სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს წინასწარ ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივ საბაზრო ფასებს და აგრეთვე გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების ღირებულებაზე.

4. სამუშოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი)" და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

5. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსს ბ-ნ ილია მესხიშვილს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10-დან 17 საათამდე.

6. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ 4,000,000 (ოთხი მილიონი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით;

ბ. ძირითადი კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში ერთ-ერთ ობიექტზე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშოებს (სამუშოთა მინიმუმ 80% დასრულებული უნდა იყოს) ღირებულებით არა ნაკლებ 2,100,000 (ორი მილიონი ასი ათასი) ლარის ოდენობით;

გ. არანაკლებ 30,000 მ2 ასფალტ–ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშოების შესრულება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მინიმუმ 1 კონტრაქტის ფარგლებში;

დ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების, გარდა ავანსისა, ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ 700,000 (შვიდასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით.

7. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან აშშ დოლარში მისი ექვივალენტის გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის №200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: **TRESGE22**
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800
სავალუტე ანგარიშის №001 189 362
აშშ. დოლარში გადახდისთვის:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW **YORK, USA**
SWIFT CODE: FRNYUS33
მიმღები აგენტი:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SWIFT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
IBAN: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მითითებული იქნას ს/გზის მონაკვეთის დასახელება).

მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

8. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2013 წლის 22 ივლისის 17:00 საათისა ადგილობრივი დროით. წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენტენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს 2013 წლის 22 ივლისის 17:00 სთ-ზე ადგილობრივი დროით.

9. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ანუ 90 დღე+28 დღე=118 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

10. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
შესყიდვების სამმართველო, IV სართული, ოთახი 410
ბ-ნი ილია მესხიშვილი, შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსი
ტელ: + (995 32) 37-05-08 დამ. 305
ფაქსი: + (995 32) 31-30-34
ე-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

INVITATION FOR BIDS

Georgia
Second Secondary and Local Roads Project (SLRP II) (P122204)
Bid Invitation No: SLRP II/CW/NCB-14

Chalaubani–Signagi–Anaga Rehabilitation Works of Road Section km16-km22

1. Georgia is applying for a loan from the World Bank toward the cost of the Second Secondary and Local Road Project (SLRP II) and intends to apply part of the proceeds to eligible payments for contract for rehabilitation works of local road Chalaubani-Signagi-Anaga km16-km22 section.

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for execution of preliminary and soil works and rehabilitation of pavement, structures, junctions, intersections and road facilities. Implementation period for execution of construction works is 12 months.

3. The estimated cost of proposed works is **GEL 2,803,000.31**, including all taxes, duties and other governmental levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

4. Procurement of works will be conducted through the procedures of National Competitive Bidding as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers (January, 2011) and is open to all eligible bidders as defined in the guidelines.

5. Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit of the Roads Department of Georgia at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

5. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. Average annual construction turnover of at least 4,000,000 GEL (Four Million Georgian Laris) or equivalent over the last 3 (three) years;

b. experience as prime contractor in the construction of at least one work of a nature and complexity equivalent to the works over the last 5 (five) years (at least 80 % of works should be complete) with a value of at least 2,100,000 GEL (Two Million One Hundred Thousand Georgian Laris);

c. At least 30,000 m^2 of asphalt-concrete pavement rehabilitation performed for at least 1 contract within the last 5 years;

d. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;

e. Liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than 700,000 GEL (Seven Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent.

6. A complete set of bidding documentation in English language may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

For GEL transfer:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362
For USD transfer
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary's bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: (Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia)
IBAN: GE65NB0331100001150207
Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name)

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

7. The Bids should be delivered at the address below not later than **July 22, 2013, 17:00** Hours local time. Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend bid opening on, **July 22, 2013 17:00** Hours local time.

8. All bids should be submitted together with the Bid Security Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 90 days+28 days = 118 days). For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

9. The Employer's address for the purpose of Bid submission is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Procurement Department, IV Floor
Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08 ext.305
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რაგბი

ოქროს დეგიუტი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) მორაგბეთა 7-კაცა გუნდმა (ბაჩანა კოლელიშვილი, დიმიტრი კალანდაძე, საბა ნიკოლავა, გოდერძი ჯოგლიძე, ჯიმი ღამბაშიძე, ბახვა კობახიძე, ლუკა კვარაცხელია, ალექსანდრე ხუციშვილი, გიორგი ბებიაშვილი, საბა შუბითიძე, ივანე დავითაშვილი, გიორგი ჭყოიძე (კ), მწვრთნელი ზაზა ლეჟავა), რომელიც გაძლიერებული იყო სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სპორტსმენებით, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ ევროპის მე-6 საუნივერსიტეტო ჩემპიონატში დაუმარცხებლად იასპარეზა და დამსახურებულად გაიმარჯვა. საგულისხმოა, რომ მსგავს შეჯიბრებაში საქართველოს გუნდმა წლეულს პირველად იასპარეზა და დებიუტი ოქროთი აღნიშნა.

სეუ-მ ტურნირის პირველ დღეს პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის გუნდი 34:7 დაამარცხა. ასევე სძლია პორტუგალიის კოიმბრას უნივერსიტეტის წარმომადგენლებს 17:5. მესამე ტურში ჩვენებურებმა მოსკოვის საავიაციო უნივერსიტეტის გუნდთან დაძაბულ ბრძოლაში 19:15 იმარჯვეს და დღის დასკვნით შეხვედრაში ბულგარეთის სპორტის აკადემიის გუნდს 29:5 აჯობეს. მეორე დღეს სეუ-მ იოლად სძლია ბულგარეთის შუმენის უნივერსიტეტის მორაგბეებს 40:0. მერე საფრანგეთის ქალაქ პოს გუნდიც მშრალი ანგარიშით12:0 დაამარცხა, უნგრეთის გუნდი კი 47:0 დაჯაბნა.

ასპარეზობის ბოლო დღეს პლეიოფები გაიმართა. მეოთხედფინალში ქართველმა სტუდენტებმა როტერდამის წარმომადგენლები გააცამტვერეს — 40:0, ნახევარფინალში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორაგბეებს გადაურბინეს — 33:0, გადამწყვეტ პაექრობაში კი ისევ საფრანგეთის ქალაქ პოს გუნდს აჯობეს 28:17 და პირველი ადგილი დაიკავეს.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

რუბიკონი გადალახეს



თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 72-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 12 მამაკაცი წრიული სისტემით იბრძვის მედლებისა და ფულადი (საპრიზო ფონდია 16.000 ლარი) პრიზებისთვის. შეგახსენებთ, რომ ქართველ უძლიერეს დიდოსტატთაგან ტურნირში არ მონაწილეობენ ევროპის ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი ბაადურ ჯობავა, თორნიკე სანიკიძე და თამაზ გელაშვილი.

ჩემპიონატში უკვე გათამაშდა ექვსი ტური. ხუთი ქულით ერთპიროვნულად მეწინავეობს დავით ჯოჯუა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან კონსტანტინე შანავა და გაიოზ ნიგალიძე. ლუკა პაიჭაძემ 4 ქულას მოუყარა თავი. მომდევნო ადგილებზე მოდიან: ლევან ფანცულაია, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი — 3.5-3.5, გიგა ყუფარაძე — 3, დავით მაღალაშვილი — 2.5, დავით ლომსაძე — 1.5, დავით ზარქუა — 0.5 და ფრიდონ ყალაგაშვილი — 0 ქულა.

ჩემპიონატის მონაწილენი გუშინ ისვენებდნენ. დღეს მე-7 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: გაგუნაშვილი — ყუფარაძე, ლომსაძე — ზარქუა, ნიგალიძე — ფანცულაია, ყალაგაშვილი — პაიჭაძე, ჯოჯუა — მჭედლიშვილი, მაღალაშვილი — შანავა.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

სეზონი მეზობლებით გავსენით

საქართველოს ჩემპიონმა და თასის მფლობელმა თბილისის „დინამომ“ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. დუშან უჰრინის გუნდმა ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ სომხეთის ჩემპიონს გიუმრის „შირაქს“ უმასპინძლა. ამხანაგური მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა.

ჩეხმა სპეციალისტმა, რომლის ხელმძღვანელობით „დინამომ“ ათწლიანი შესვენების შემდეგ დუბლი შეასრულა, თითქმის მთელი შემადგენლობა ათამაშა. არ იყვნენ მხოლოდ გიორგი ლორია, ირაკლი ძარია, მიკელ ალვარო და დარკო გლიშიჩი. პირველი ორი ეროვნულ ნაკრებში გახლდათ მიწვეული და მწვრთნელმა დაასვენა, ესპანელ ნახევარმცველს მცირე ტრავმა აწუხებს, გლიშიჩი კი „დინამოს“ ავსტრიაში დაგეგმილ შეკრებაზე შეუერთდება.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ჩემპიონმა მატჩის წინა დღეს დაიმატა გამოცდილი ნახევარმცველი დავით კვირკველია, გორის „დილას“ ექსფეხბურთელს ამჯერად არ უთამაშია. 32 წლის კვირკველია ასევე სანაკრებო შეკრებაზე გახლდათ.

პირველი გოლი „შირაქის“ ფეხბურთელებმა გაიტანეს: დამე დიოპის პასის შემდეგ სომეხთა ლეგიონერი ფოფანა ისმაელ ბეკო საჯარიმოში შეიჭრა, უსტარიცს ბურთი ფეხებსშუა გაუტარა და ლორიას არყოფნაში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრილ თორნიკე ზარქუას შანსი არ დაუტოვა — 0:1. ეს მე-9 წუთზე მოხდა. საგულისხმოა, რომ სტუმრებმა მანამდეც შეძლეს თითქმის მსგავსი გოლის გატანა, თუმცა მთავარმა მსაჯმა გიორგი ყრუაშვილმა სამართლიანად დააფიქსირა თამაშგარე მდგომარეობა.

საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა ანგარიში მეორე ნახევარში გაათანაბრა: 64-ე წუთზე „შირაქის“ კართან შექმნილი არეულობით ჩინებულად ისარგებლა შეცვლაზე შესულმა გიორგი პაპავამ და საჯარიმოს გარედან ზუსტად დაარტყა — 1:1.

დღეს „დინამო“ ავსტრიაში გაემგზავრება, სადაც 2 ივლისამდე 4 ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. 20 ივნისს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი კიევის „დინამოს“ დაუპირისპირდება, 23 ივნისს უკრაინის უძლიერეს კლუბს დონეცკის „შახტარს“, 27 ივნისს რუმინეთის „კლუჟს“, 30 ივნისს კი რუსეთის „კრასნოდარს“.

უეფას ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში „დინამო“ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვება, 2013-2014 წლების ევროსეზონის წილისყრა კი ორშაბათს, 24 ივნისს შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას სათავო ოფისში შედგება.

* * *

კონფედერაციის თასი. ნიგერია — ტაიტი 6:1.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

სანიკიძეს ჩემპიონობამდე ერთი გამარჯვება აშორებს

ვიქტორ სანიკიძის „მონტეპასკის“ იტალიის ჩემპიონობამდე ერთი გამარჯვებაღა აშორებს. ქართველი ფორვარდის კლუბმა ფინალური სერიის მე-4 შეხვედრაში „ასეა რომას“ 81:71 სძლია და 3:1 დაწინაურდა, ასე რომ, ოქროს მედლებამდე სულ ცოტაღა რჩება.

გასულ მატჩში სანიკიძემ 13 წუთს ითამაშა და მასპინძლებს 6 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი შესძინა. ვიქტორმა 6-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, ერთხელ დაუფარეს და ერთხელაც მის წინააღმდეგ დაჯარიმდნენ.

სიენელთა რიგებში 16 ქულით ყველაზე შედეგიანი დანიელ ჰეკეტი გახლდათ, დევიდ მოსმა 15 ქულა ჩააგდო, ხოლო ბობი ბრაუნმა 14 ქულას 5 შედეგიანი პასი წაამატა.

დღეს „მონტეპასკი“ დედაქალაქს ესტუმრება და მორიგი გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონობას რომშივე იზეიმებს, თუ არადა, 21-ში ფინალური სერია ისევ სიენას დაუბრუნდება.

და ერთიც. „მონტეპასკის“ მორიგ წარმატებულ თამაშს თვალი საქართველოს ეროვნული ნაკრების ექს-ფორვარდმა ვლადიმერ ბოისამაც მიადევნა, რომელიც ტრიბუნაზე ოჯახთან ერთად იმყოფებოდა. შეგახსენებთ, რომ უფროსი ბოისა იტალიური გრანდის ღირსებას 2005-07 წლებში იცავდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ავტოსპორტი

ალონსო მსოფლიოში ყველაზე მაღალხელფასიანი მრბოლია

ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა მსოფლიოს 100 ყველაზე მაღალხელფასიანი სპორტსმენის სია, რომელშიც მხოლოდ რვა მრბოლი შევიდა. მათ შორის ყველაზე მაღალი, მე-19 ადგილი „ფერარის“ ესპანელ მრბოლ ფერნანდო ალონსოს უკავია, რომელსაც შარშანდელი 1 ივნისიდან წლევანდელ 1 ივნისამდე ჯამში 30 მილიონი დოლარი აქვს მიღებული. ამ თანხიდან იტალიური საჯინიბოს ხელფასზე 28 მილიონი მოდის, დანარჩენი თანხა კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს კერძო კონტრაქტებიდან აქვს მიღებული.

მრბოლთა შორის მეორე (საერთო სიაში კი 26-ე) ადგილზეა ლუის ჰამილტონი, რომლის შემოსავალმაც 27.5 მილიონი დოლარი შეადგინა. ამ თანხიდან „მაკლარენისა“ და „მერსედესისგან“ მიღებულ ხელფასებზე ჯამში 26 მილიონი მოდის, დანარჩენი კი — სპონსორებთან კონტრაქტებზე.

მესამე (საერთო სიაში 32-ე) ყველაზე მაღალხელფასიანი მრბოლია ამერიკულ სერია „ნასქარის“ ამერიკელი პილოტი დეილ ერნჰარდტ-უმცროსი, ლეგენდარულ დეილ ერნჰარდტის შვილი, რომლის შემოსავალმაც 26 მილიონი დოლარი შეადგინა. ამ თანხის ნახევარს ის გუნდ „ჰენდრიკ მოტორსპორტსისგან“ იღებს, ნახევარს კი - პირადი კონტრაქტებიდან და რბოლებში გამარჯვებისთვის მიღებული საპრიზო ჰონორარებიდან, ასევე საკუთარი სახელის გამოყენების გაყიდვიდან.

მოტორბოლების მოქმედ ლეგენდას იტალიიდან ვალენტინო როსის მრბოლებს შორის მეხუთე, სპორტსმენებს შორის კი 51-ე ადგილი უკავია. მისმა ანაზღაურებამ 22 მილიონი დოლარი შეადგინა. აქედან მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონმა 12 მილიონი „დუკატისა“ და „იამაჰასგან“ მიიღო, 10 მილიონი კი პირადი კონტრაქტებით გამოიმუშავა.

მხოლოდ 89-ე ადგილზეა ფორმულა ერთის სამგზის ჩემპიონი, გერმანელი სებასტიან ფეტელი, ვისაც „მხოლოდ“ 18 მილიონი დოლარი აქვს გამომუშავებული. აქედან 17 მილიონი „რედ ბულ რეისინგისგან“ მიიღო, ერთი მილიონი კი კერძო კონტრაქტებით. სიაში ვერ მოხვდა ფორმულა-1-ის შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, რადგან „ფორბსს“ სიაში მხოლოდ მოქმედი სპორტსმენები შეჰყავს.

მსოფლიოს ყველაზე მაღალხელფასიანი სპორტსმენი ისევ ამერიკელი მეგოლფე ტაიგერ ვუდსია, რომელმაც ერთ წელიწადში ჯამში 78.1 მილიონი დოლარი (65 მილიონი პირადი კონტრაქტებით და საპრიზო ჯილდოების სახით) მიიღო. მეორე ადგილი დაიკავა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა როჯერ ფედერერმა, ვისაც 71.5 მილიონი აქვს მიღებული (საპრიზო და პირადი კონტრაქტებით 65 მილიონი), მესამეზე კი ამერიკელი კალათბურთელი კობი ბრაიანტია. მისი ჯიბე 61.9 მილიონი დოლარით შეივსო, რომელთაგან 27.9 მილიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ გადაუხადა.

აღსანიშნავია, რომ უკვე სამი წელია ალონსო მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიანი მრბოლის სტატუსს არავის უთმობს. მაგრამ მოსალოდნელია, რომ ამ წლის ბოლოს მას ამ წოდებაში ჰამილტონი შეეცილება, რომელიც „მერსედესში“ იმაზე მაღალ ხელფასს იღებს, ვიდრე „მაკლარენში“ ჰქონდა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

მკერდგანიერი ბელენ როდრიგესი ჯულიეტას როლში

არგენტინის საფეხბურთო ნაკრების თილისმა, უმშვენიერესი არგენტინელი მოდელი ბელენ როდრიგესი აგერ უკვე მერამდენე წელია, თავისი სილამაზით ატკბობს ფეხბურთისა და არა მხოლოდ ფეხბურთის გულშემატკივრებს. ბელენი მოდელიცაა და ბუენოს აირესის ერთ-ერთი თეატრის მსახიობიც.

ახლახანს ცნობილი გახდა, რომ ბელენ როდრიგესმა უილიამ შექსპირის უკვდავი პიესის, „რომეო და ჯულიეტას“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლში უნდა ითამაშოს. სპექტაკლი ეროტიკული ხასიათის იქნება და ჯულიეტას როლს მშვენიერი ბელენი შეასრულებს.

აქამდე ალბათ ყველამ იცოდით, რომ „რომეო და ჯულიეტაში“ ქალწული ჯულიეტა პატარა, შეყვარებული გოგონა იყო და არა ბელენისთანა მკერდგანიერი და სექსუალური ქალი. თუმცა, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში როლის ესთეტურ სახეზე მეტად ბელენ როდრიგესის ძუძუებია მნიშვნელოვანი.

როსტომ რაჭველიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხსოვნა

ალექსანდრე (ალიოშა) კორძახია



უეცრად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება, დამსახურებული ინჟინერი **ალექსანდრე (ალიოშა) შალვას ძე კორძახია**.

დაიბადა 1939 წლის 28 თებერვალს მშრომელ და პატიოსან ოჯახში.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს სიონის წყალსაცავის მშენებლობაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გიორგი სტანისლავის ძე მაევსკი. მან იქ დიდი გამოცდილება მიიღო საინჟინრო მშენებლობის დარგში. შემდეგ ბატონი ალექსანდრე, როგორც ახალგაზრდა და კვალიფიციური სპეციალისტი, სამუშაოდ გადაიყვანეს ენგურჰესის მშენებლობაზე.

იმ დროს უკვე აბაშის რაიონში იწყებოდა დიდი ექსპერიმენტი სოფლის მეურნეობის დარგში, რასაც თან ახლდა სხვადასხვა ობიექტების მშენებლობა. ბატონი ალექსანდრე მუშაობდა ერთ-ერთი სამშენებლო სამმართველოს უფროსად, სადაც ნათლად გამოჩნდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, ამოცანების სწორად გადაწყვეტის უნარი, რაც მთავარია, უდიდესი სიყვარული და თანადგომა მშობლიური რაიონისადმი. მის მიერ დაწყებული და აშენებული ობიექტები ახლაც ემსახურება ხალხს და არ კარგავს თავის ელფერს.

იყო დავალების გამორჩეულად შემსრულებელი, ახალგაზრდა სპეციალისტების დამკვალიანებელი, თავისი მშობლიური აბაშის და მთელი ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი. იგი ბოლო წუთამდე ახმარდა თავის ძალასა და მხარდაჭერას რაიონში მიმდინარე პროცესებს.

სწორედ ამიტომ იგი დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა საზოგადოებაში.

წავიდა ჩვენგან ერთგული, პატიოსანი, უხმაურო, ამასთან ბევრი კარგი საქმის შემოქმედი ალიოშა შალვას ძე კორძახია. დაგვიტოვა ბრწყინვალე ოჯახი, მეუღლეს, ქალბატონ ლეილას, შვილებს, შვილიშვილებს — დიდი გულისტკივილი, მეგობრებს — დიდი და ნათელი მოგონებები.

მეგობრების ჯგუფი

გურამ გუნავა ოჯახით იუწყება შესანიშნავი პიროვნების, სახელოვანი მამულიშვილის

ალექსანდრე (ალიოშა) შალვას ძე კორძახიას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახის წევრებს.

გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებით იუწყება

ალექსანდრე (ალიოშა) კორძახიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მეუღლეს ლეილა ჭანტურია-კორძახიას და სხვა ჭირისუფალთ.

მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს ქალბატონ ლეილა ჭანტურიას, მანანა, ვეფხვია ცომაიებს მეუღლის, მამისა და სიმამრის

ალექსანდრე (ალიოშა) კორძახიას

გარდაცვალების გამო.

სულთათანა

დიდი მშენებელი გივი კუპრეიშვილი

გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მშენებელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სახელოვან ქართველ მშენებელთა კოჰორტის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, ღირსების ორდენოსანი, იშვიათი პიროვნული თვისებებით გამორჩეული კაცი, ქვეყნის დიდი პატრიოტი, დიდებული ოჯახის მამა და ბაბუა **გივი ირაკლის ძე კუპრეიშვილი**.

დაიბადა 1926 წელს აბაშის რაიონის სოფელ საგვაზაოში... სკოლის დამთავრების შემდეგაც არ გაუწყვეტია კავშირი საკუთარ ადგილის დედასთან. მომდევნო წლებში აბაშაში სიამოვნებით მონაწილეობდა სხვადასხვა ობიექტის აგებაში, მათ შორის იყო სკოლა-გიმნაზია, რუსული რვაწლიანი სკოლა, საგვაზაოს საშუალო სკოლა...

21 წლისამ წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი. აქტიური შრომითი საქმიანობა დაიწყო აფხაზეთში, მეშახტეთა ქალაქ ტყვარჩელში და იქაურებს მალე შეაყვარა თავი საოცარი პროფესიონალიზმით, თავმდაბლობით, გულითადობით. 1952 წელს გივი კუპრეიშვილი გადაჰყავთ ქუთაისში. სწორედ ამ ქალაქში ჩამოყალიბდა ის დიდ მშენებლად და ხელმძღვანელ მუშაკად. ქუთაისში მოღვაწეობის 12 წლის განმავლობაში გივი კუპრეიშვილის ხელმძღვანელობით აშენდა და მწყობრში ჩადგა სახელმწიფო დრამატული თეატრის, ორდარბაზიანი კინოთეატრის, ცენტრალური სტადიონის, სასტუმრო „თბილისის“, კლინიკური საავადმყოფოს, მეტალობაზის, საბაგირო გზის, პოლიგრაფიული გაერთიანების, უნივერმაღების, პროკურატურის, სასამართლოს უნიკალური ობიექტები, საცხოვრებელი სახლები და ა. შ.

1964 წლიდან გივი კუპრეიშვილი საცხოვრებლად და სამუშაოდ გადმოჰყავთ დედაქალაქში. თბილისში კიდევ უფრო გაითქვა სახელი მშენებლობის დიდოსტატმა. მისი ძალისხმევით და უშუალო ხელმძღვანელობით დედაქალაქში აშენდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ზოოვეტინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიის სასწავლო კორპუსის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორი კორპუსის, ტაბახმელის ბიოკომბინატის, ბავშვთა საავადმყოფოს (თემქაზე), სკოლების, საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი ობიექტების მთელი კომპლექსები.

გივი კუპრეიშვილს თავისი მადლიანი ხელი საქართველოს თითქმის ყველა რაიონისა და სოფლისთვის დაუტყვია. შეიძლება ითქვას, რომ ის ერთ-ერთი რეკორდსმენი იყო — აშენებული აქვს 1000-მდე დიდი და პატარა ობიექტი. ამით ყველაფერია ნათქვამი.

სხვადასხვა დროს დიდებულ მშენებელს და პიროვნებას მიღებული აქვს შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენები, მთავრობის პრემიები და სხვ.

გივი კუპრეიშვილის განვლილი ხანგრძლივი ცხოვრების გზა სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს პატრიოტი ქართველი კაცი, რომელმაც თავისი ნიჭი და ენერგია საქართველოს აღმშენებლობას შეალია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ვაჟკაცური სული.

მეგობრების ჯგუფი

მეუღლე გულიკო, შვილები გია, გოჩა, შვილიშვილები ანა, გივიკო, დეა, ანდრო, და ციალა, რძლები მანანა ფრუიძე, ირმა აბრამიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ირაკლის ძე კუპრეიშვილი

პანაშვიდი 20, 21 VI, 18 სთ. დაკრძალვა 22 VI, 14 სთ. სულხან ცინცაძის 4.

◎ ალიან-ჩალიანი

ადვოკატი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ საქმის აღძვრას ითხოვს

„სარფის“ საბაჟო-გამშვები პუნქტის უფროსის ყოფილი მოადგილის როლანდ ბლადაძის ადვოკატი ნანა წულაძე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ საკონფერენციო დარბაზში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატმა განაცხადა, გიორგი პაპუაშვილმა უკანონოდ მიითვისა როლანდ ბლადაძის საცხოვრებელი სახლი და ავტოფარეხი. მისი თქმით, 2004 წელს აჭარის პროკურატურის მიერ ბლადაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

აჭარის პროკურატურის სარჩელის საფუძველზე ბლადაძეს დაუსწრებლად ჩამოერთვა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა, რომელიც მას შეძენილი ჰქონდა საბაჟოზე დანიშვნამდე. ჩვენმა მიმართვამ სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებისადმი შედეგი არ გამოიღო. 2007 წლის 6 ივნისს, ბინა პირდაპირი მიყიდვის წესით სიმბოლურ ფასად — 1000 ლარად გადაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს გიორგი პაპუაშვილს, რომელიც იმ ბინაში დღემდე ოჯახთან ერთად ცხოვრობს.

აჭარის პროკურატურის 2013 წლის 12 აპრილს დადგენილებით შეწყდა ბლადაძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

აღმოჩნდა, რომ პაპუაშვილმა უკანონოდ დაიკანონა ავტოფარეხი, რომლის დემონტაჟის შედეგად მან 2012 წლის 27 სექტემბერს ბათუმის მერიიდან კომპენსაციის სახით მიიღო 3 562 ლარი.

ადვოკატის განმარტებით, იგი აპირებს მიმართოს ყველა სამართალდამცავ ორგანოს იმასთან დაკავშირებით, რომ დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

◎ დედაქალაქი

ვიდრე გალაკტიონის ხიდზე ფეხს შედგამ...

დედაქალაქის მრავალი უბანი დღესდღეობით ისეთი სახეშეცვლილია, ხშირად ძირძველ თბილისელებსაც უჭირთ თავიანთი ყოფილი უბნების ცნობა. მართლაც, ბევრი რამ შეიცვალა თბილისში ბოლო წლების მანძილზე, ბევრი საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი შენობა აიგო, ბევრიც შენდება. თუმცა, ურბანული გადაწყვეტის თვალსაზრისით, დედაქალაქში საკმარისზე მეტად გაკეთდა ისეთი რაღაცები, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ყველას მოწონებას არ იმსახურებს, თუნდაც უგემოვნობის, თბილისისთვის არადამახასიათებელი იერის, გნებავთ, სულაც, უადგილობისა და უხარისხობის გამო.

აქვე ერთ რამეს მინდა, გავუსვა ხაზი საგანგებოდ: წინამდებარე მასალის მიზანი სულაც არ გახლავთ ახალი ობიექტების — უკვე აშენებულისა თუ მშენებარეს — მიმოხილვა, შექება თუ კრიტიკული შენიშვნის გამოთქმა. თქვენი ყურადღება, ბატონებო, მხოლოდ თბილისის ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ, გალაკტიონის ხიდისა და მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩების (ყოფილი ელბაქიძის აღმართი) შესართავში მოედანს მინდა მივაპყრო.

მხედველობაში მაქვს არა თავად მოედნის შუაგულში დადგმული სკულპტურული ანსამბლის მხატვრული ღირებულება თუ მისი ნახვით გამოწვეული ესთეტიკური სიამოვნება, არამედ ამ მოედანზე ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების საკითხი, რაც, როგორც არაერთხელ დავრწმუნებულვარ თავადაც, არც მთლად უსაფრთხოა.

მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩით მის მარცხენა მხარეს გალაკტიონის ხიდისკენ მოძრავმა კაცმა სანაპიროდან ამომავალი პანდუსი რომ გადაკვეთოს, ათიოდე მეტრით ქვევით უნდა ჩავიდეს, ფეხით მოსიარულეთათვის მონიშნულ გადასასვლელამდე, თუმცა კი, ეს, თითქოსდა მარტივი მოქმედება, არც მთლად უსაფრთხოა. უბედურება ისაა, რომ მანქანები პანდუსზე დიდი სიჩქარით, ხშირად ერთი მეორის გასწრებითაც მოძრაობენ, რის გამოც ქუჩაზე გადასვლა ერთობ სახიფათოა. ამ ადგილზე დღემდე რაიმე უბედურება თუ არ მომხდარა, ეს, ვფიქრობ, ბედის წყალობაა, თორემ რამდენჯერმე ისეთი სახიფათო ვითარების მომსწრე გავხდი, რომ ამ საკითხის საგაზეთო ფურცლებზე გამოტანაც კი გადავწყვიტე.

გამოსავალი, ვფიქრობ, მარტივია: ამ ადგილზე აუცილებლად შუქნიშანი უნდა დაიდგას, რომელიც ფეხით მოსიარულეთა მოთხოვნით იმუშავებს და რომელსაც, ისევე, როგორც დედაქალაქის სხვა, ამჟამად უკვე კარგად მოწესრიგებულ საკვანძო წერტილებში, ერთიანი კომპიუტერული სისტემა გააკონტროლებს. ამას, დარწმუნებული ვარ, დიდი ხარჯი და ახლებური საინჟინრო გადაწყვეტის მოძებნა არ დასჭირდება, მით უმეტეს, რომ პანდუსების, შიგნით გარკვეული კომერციული ფართების სარემონტო სამუშაოები უკვე სრულდება, რისი დამთავრების შემდეგ, იმ ადგილს გაცილებით მეტი ხალხი მიადგება. მათ უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა კი, ეჭვი არ არის, დედაქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურის უპირველესი ამოცანაა.

ოთარ ტურაბელიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ქვირფასო მკითხველებო!

2013 წლის 21 ივნისს 13 საათზე მეცნიერების ოთხი აკადემია – ბიზნესის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიები მართავენ ერთობლივ სამეცნიერო-საზეიმო შეხვედრას საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის სააქტო დარბაზში (ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №45, მე-6 სართული) თბილისში დაბადებულ, აღზრდილ საერთაშორისო მასშტაბის მწიგნობართან

რამაზ აკაკის ძე გახოკიძესთან,

რომელმაც შეძლო არა ერთისა, არამედ უთვალავი მამაკაცის გასაკეთებლის გაკეთება – გასაკეთებელი მეცნიერ-ქიმიკოსისა, მეცნიერ-ისტორიკოსისა, მეცნიერ-ფილოლოგისა, მეცნიერ-აგრარიკოსისა, მეცნიერ-ფილოსოფოსისა, მეცნიერ-კულტუროლოგისა, მეცნიერ-აღმომჩენისა და მეცნიერ-გამომგონებლისა, ასზე მეტი სამეცნიერო და მუსიკალური ნაწარმოებისა.

საზეიმო ფორუმზე დასწრება თავისუფალია ზემოაღნიშნული აკადემიის წევრებისთვის, აგრეთვე იმ სტუმრებისთვის, რომლებსაც ექნებათ პირადობის მოწმობა და საამისო სურვილი.

ფორუმის კოორდინატორი
ალექსანდრე კუჭუხიძე

◎ ჩვენი კარაბადინი

მეხსიერება ციფრებსა და ფაქტებში

ჩასახვიდან 20 კვირის შემდეგ ემბრიონს უყალიბდება მეხსიერება. ეს თანამედროვე გამოკვლევებმა აჩვენეს. თუმცა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში მიაჩნდათ, რომ ადამიანი ჩნდება ტვინით, რომელიც სუფთაა, როგორც ქაღალდის ფურცელი.

25 წლამდე მეხსიერება ვითარდება აღმავლობით. შემდეგ იწყება სტაბილური პერიოდი, 50 წლის შემდეგ კი იწყებს შესუსტებას.



20 000-დან 100 000-მდე სიტყვა შეიძლება ახსოვდეს მოზრდილ ადამიანს.

ასაკთან ერთად 20-40 პროცენტით სუსტდება მეხსიერება, მაგრამ თუ მუდმივად „ვიმუშავებთ თავით“ და მივიღებთ ზომიერ ფიზიკურ დატვირთვას, მეხსიერება შეიძლება შევინარჩუნოთ ღრმა მოხუცებულობამდე.

30 000-მდე თავიანთ ჯარისკაცებს იცნობდნენ სახეზე და სახელით იულიუს ცეზარი და ალექსანდრე მაკედონელი – ფენომენალური მეხსიერების ადამიანები.

ერთმანეთთან დაუკავშირებელი 2000 სიტყვა შეეძლო, გაემეორებინა სენეკას თუნდაც ერთხელ მოსმენით.

წაკითხული ინფორმაციის 98 პროცენტს იხსომებდა ამერიკელი სახელად – კიმ პიკი – ფილმის „წვიმის კაცის“ გმირის პროტოტიპი.

უინსტონ ჩერჩილმა ზეპირად იცოდა თითქმის მთელი შექსპირი.

პოეტმა შოთა ხოდაშნელმა, აგრეთვე რამდენიმე ადამიანმა საქართველოში, ზეპირად იციან „ვეფხის ტყაოსანი“ და ილიას, აკაკის და ვაჟას პოემები.

დირიჟორი არტურო ტოსკანინის ახსოვდა ყველა ნოტი 400 პარტიტურიდან.

მეხსიერების განვითარებაზე გავლენას ახდენს პროფესია. სხვებზე უკეთესად მეხსიერება უნარჩუნდებათ მსახიობებს (ტექსტების მუდმივი სწავლის წყალობით), მეცნიერებს (გაძლიერებით მუშაობს ტვინის ყველა განყოფილება) და მეფუტკრეებს (თუ ღებულობენ მეფუტკრეობის პროდუქტებს).

ადამიან-ტოროლებს მეხსიერების პროდუქტიულობა აქვთ მაქსიმალური დილის 8-დან 12 საათამდე, ადამიან-ბუებს – საღამოს 8-დან 12 საათამდე.

ერთადერთი საშუალება – საიმედოდ დავიმახსოვროთ რაიმე ფაქტი – ესაა ის, რომ დავუკავშიროთ იგი სხვა რაიმეს.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ორი ლოთი არყის საყიდლად ღვინის მაღაზიაში შედის. ერთი თითქოს გაქვავდა ვიტრინასთან, რომელშიც 1000-დოლარიანი კონიაკის ბოთლი დგას.

– წავიდეთ, ეს არამსმელებისთვისაა, – ძლივს გამოჰყავს მდგომარეობიდან იგი ძმაკაცს.

* * *

ყოველ ქალში ცხოვრობს ურცხვი, სულელი, გრძნეული, ანგელოზი და საუცხოო პრინცესა! ასე რომ, ბიჭებო, გახსოვდეთ, რასაც იმათგან გააღვიძებთ, ის შეგრჩებათ!

* * *

– **მოდი,** შევრიგდეთ, – ეუბნება ქმარი ცოლს დიდი წაჩხუბების შემდეგ.

– არა! – კატეგორიულია ცოლი.

– მაშინ, მოდი, დროებით შევრიგდეთ, სექსის შემდეგ კი ისევ ვიჩხუბოთ!

* * *

ზღვის სანაპირო. ფემინისტი ქალების პლაჟი. უცებ ერთი მათგანი წყალში ბოთლს დაინახავს, გახსნის და იქიდან ჯინი ამოძვრება.

– დიდი მადლობა გადარჩენისთვის. ნებისმიერ სურვილს შეგისრულებთ.

– გვინდა ქალებსა და კაცებს შორის სრული თანასწორუფლებიანობა.

– კი, ბატონო, – დათანხმდა ჯინი და უცებ გადაიქცევა უწყებებით სავსე საქაღალდიდან სამხედრო კომისრად – ყველანი, 18-დან 27 წლამდე ასაკისანი, ხვალ 18 საათამდე უნდა გამოცხადდეს სამხედრო კომისარიატში აღრიცხვაზე ასაყვანად.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვაზეთებიდან

„ეს მხოლოდ დასაწყისია“

– აცხადებს „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი კახა მიქაია და სამეგრელოში დიდძალი იარაღის აღმოჩენაზე საუბრობს, – ეს იყო ფართომასშტაბიანი პროექტი, სააკაშვილს ეს სჭირდებოდა მხოლოდ ერთი რამისთვის, უნდა დაპირისპირებოდა საკუთარ ხალხს და შეენარჩუნებინა ძალაუფლება, მაგრამ ამერიკელების წინააღმდეგ სააკაშვილი ვერ წავიდოდა... ამ საქმეში მონაწილეობდა ყველა ძალოვანი სტრუქტურა... ამ იარაღის აღმოჩენა არის საწყისი, რომ სხვა სამალავებიც გაიხსნას. ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაჩერდეს.

„ალია“

„ივანიშვილი არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრას არ კადრულობს“

– თვლის „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, – სულ ტყუილი მცდელობაა ახლა ბოკერიასა და რესპუბლიკელებზე საკუთარი შეცდომების გადაბრალება. რამდენიმე თვეა, რაც არასაპარლამენტო ოპოზიცია ითხოვს შეხვედრას პრემიერ-მინისტრთან, თანამშრომლობას მასთან, მისი მთავრობის კორუმპირებული ქმედებების განხილვას და პრემიერ-მინისტრი უარს ამბობს არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრაზე. მას რომ ტუჩი აქვს აბზუებული, რა შუაშია აქ ბოკერია და რესპუბლიკელები. ეს არის მისი გამოუცდელობა და მისი არაკომპეტენტურობა.

„ახალი თაობა“

რეგიონებში მოსახლეობა უფასო სასადილოებს ითხოვს

უფასო სასადილოების ბენეფიციართა რიგში ჩადგომას საქართველოს მასშტაბით ათასობით ადამიანი ელოდება. ამ მხრივ პრობლემა განსაკუთრებით რეგიონებშია, სადაც უფასო სასადილოები თითზე ჩამოსათვლელია. თბილისში ერთხანს მოდად იყო ქცეული უფასო სასადილოების დაფუძნება. ასეთი ობიექტი თითქმის ყოველთვიურად იხსნებოდა ტელევიზიებისა და მთავრობის წევრთა თანხლებით, თუმცა შემდეგში სასადილოების მდგომარეობით დიდად არავინ ინტერესდებოდა. ხალხის მდგომარეობა კი უარესდება და ამას ხალხის მოთხოვნა ადასტურებს.

„რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com